დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N156 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ციალა გაგნიძე

წევრები:

- თამთა კამკამიძე;(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
- ხათუნა ტოტოჩავა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- თინათინ ნანობაშვილი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
- ანანო შანავა უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
- შოთა მაღლაკელიძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
- ვერა გუდაძე ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
- ლანა არახამია სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
- ხათუნა გერგაია მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
- მიხეილ გაფრინდაშვილი სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
- ეკატერინე კვირკველია დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N156 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	208142785

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი**
ფაქტობრივი მისამართი	ჩანტლაძის (ყოფილი ახვლედიანის) ქუჩა N28
საფოსტო ინდექსი	**0186**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi156.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi156@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	032 2 245852

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 27 თებერვლის № - MES 0 26 0000241848
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 01-02 აპრილი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	თბილისი, ჩანტლაძის (ყოფილი ახვლედიანის) ქ. N28,ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	თბილისი, ჩანტლაძის (ყოფილი ახვლედიანის) ქ. N28, ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	თბილისი, ჩანტლაძის (ყოფილი ახვლედიანის) ქ. N28, ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან და მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. სკოლა შეფასებულია როგორც სტანდარტებთან შესაბამისი და აქვს განვითარების მკაფიო ხედვა და მექანიზმები. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს დაწესებულების ფუნქციონირების ყველა საკვანძო ასპექტს. შეფასების პროცესმა აჩვენა, რომ სკოლა ორიენტირებულია განვითარებაზე, რაც აისახება მის სტრატეგიულ დაგეგმარებასა და სასკოლო საზოგადოების მაღალ ჩართულობაში. დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური პერსონალი და უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ, მხარდაჭერით გარემოს.

თუმცა, შეფასებისას გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები უსაფრთხო გარემოსა და ინფრასტრუქტურის სტანდარტთან მიმართებით. კერძოდ, ხაზგასმულია შენობის მდგომარეობის/მდგრადობასთან, სახანძრო უსაფრთხოებას, საევაკუაციო გეგმის დასკვნებთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასთან დაკავშირებული საკითხები, ამავე საგნობრივი კურკულუმის შინაარსობრივ ზოგიერთი საკითხთან მიმართებით საგნობრივმა ექსპერტებმა გასცეს რჩევები, რომელიც დასკვნაში უფრო ფართოდაა გაშლილი. სკოლისთვის გაცემული რჩევები მიზნად ისახავს ხარვეზების აღმოფხვრასა და საგანმანათლებლო გარემოს სრულყოფას.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 1000	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	ექსპერტებმა დეტალურად შეაფასეს ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები და მოქმედი უსაფრთხოების მექანიზმების, რის შედეგადაც ექსპერტთა ჯგუფი მოთხოვნილ მოსწავლეთა რაოდენობას ეთანხმება მხოლოდ ორი ცვლის პირობებში

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტი „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობი
უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	1. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (04.2026–04.2027), უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში დაფიქსირებული შეუსაბამობების აღმოფხვრა და მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. 2. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04.2026-04.2027), უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; 3. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (04.2026-.04.2027) უზრუნველყოს გარე პერიმეტრის (ღობის) მთლიანობა,

1 გარდ. მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

#3.5.1.4	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (04.2026-04.2027) სასწავლო გარემოს ინკლუზიურობის გაძლიერების მიზნით, სკოლის ინფრასტრუქტურის აღჭურვა ვერტიკალური გადაადგილების საშუალებებით (ლიფტი ან მოძრავი პანდუსი), რათა სრულად იქნას დაცული შშმ პირთა მისაწვდომობის სტანდარტები და უზრუნველყოფილი იყოს მათი დამოუკიდებელი გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი *N.2.2.2.3.* კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული	*საბაზო* *საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	სკოლა მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (04.2026–04.2027), სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა და მისი აღჭურვა სათანადო ინვენტარით, ხელსაწყოებითა და რესურსებით.

რაოდენობის გათვალისწინებით		
ინდიკატორი N.2.2.2.3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგებ მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობის გათვალისწინებით	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (04.2026–04.2027), სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა და მისი აღჭურვა სათანადო ინვენტარით, ხელსაწყოებითა და რესურსებით.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინო საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1	1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*რჩევა* სკოლაში შრომის უსაფრთხოების მექანიზმების კიდევ უფრო გაუმჯობესების, რისკების ეფექტიანი პრევენციისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს მუდმივი მონიტორინგის მიზნით, **სასურველია**, სკოლამ განიხილოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტის აყვანა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*რჩევა*
ინდიკატორი N. 2.1.2.1 შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას		**უცხოური ენები :** უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმი საჭიროებს სამიზნე ცნებების გადახედვას, რათა მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტებთან განსაზღვრული მოთხოვნების ზუსტი ასახვა. **სპორტი** სასურველია, დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში ყველა კლასში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება.
2.1.2.2 კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს		**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** 1. ძირითად სასწავლო რესურსთან ერთად სასურველია დამატებითი სასწავლო რესურსების გამოყენება.უმჯობესია კურიკულუმში იყოს საკითხთა და ქვესაკითხთა მრავალფეროვნება; ტექსტის ნაცვლად ეწეროს კონტექსტ მაგალითები; 2. **მესამე კლასის** კურიკულუმში შუალედური შედეგების შესამოწმებელი დავალების იდეაში ორ სიტყვიანი წინადადებების ნაცვლად ეწეროს სრულყოფილი წინადადებები. მაგალითად წერია-ცდის ჩატარება,სჯობს ეწეროს რა საკითხს ეხება ეს ცდა და რა უნდა შექმნას მოსწავლემ. 3. **მესამე და მეოთხე კლასებში** სავალდებულო თემათა დასახელებები სწორია, თუმცა თითოეულ თემაში ყველა ცნება არ მუშავდება. **მესამე კლასში** თემაში ,,მზის სისტემა'' აკლია ცნებები: 1.ორგანიზმი,საარსებო გარემო და 2.გარემოს დაცვა. ასევე მეორე თემაში ,,ჩემი ქვეყნის ბუნება'' აკლია ცნებები: 1.ორგანიზმი ,საარსებო გარემო 2.გარემოს დაცვა 3 .მოვლენა.**მეოთხე კლასში** პირველ თემაში,, ციკლური პროცესები ბუნებაში" აკლია ცნებები-1.სივრცეში ორიენტირება და 2.გარემოს დაცვა ,ხოლო

		მეორე თემაში ,,დედამიწა" აკლია ცნებები:1.სხეული,2.ორგანიზმი,საარსებო გარემო,3.გარემოს დაცვა. 4. **მეექვსე კლასის** კურიკულუმის მესამე თემაში ,,ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა"აკლია ცნება სხეული, ვფიქრობ ეს უფრო ტექნიკური ხარვეზია, რადგანაც მოცემული კლასის კურიკულუმს ახლავს დანართი ,სადაც არის თემის,, ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა" მატრიცა, სადაც ყველა ცნება მართებულად წერია. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. დავალების იდეის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ შემოქმედებითი დავალების იდეა, შეფასების რუბრიკის გარეშე. **მათემატიკა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია, კურიკულუმებში ჩანდეს, რომელი სამიზნე ცნება, კონკრეტულად რომელი საკითხით მუშავდება. ასევე, ყველა სავალდებულო თემაში, ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს.
2.1.2..3 კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას		**უცხოური ენები:** სასურველია, კურიკულუმებშივე აისახოს დამატებითი რესურსები კონკრეტული ბმულის სახით. **სახელმწიფო ენა:** სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. **სპორტი :** სასურველია, სკოლის სპორტულ ინვენტარს დაემატოს ტანვარჯიშის ლეიბი, ამ თემის დაწყებითებ ს კურიკულუმში ასახვისა და სათანადოდ განხორციელების მიზნით. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური :** სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები". სასურველია დამატებითი რესურსებ უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა

2.1.2.4 სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს		**უცხოური ენები:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში უფრო მეტად იყოს ასახული დიფერენცირება. (კერძოდ, პროცესის, მასალის, პროდუქტის).
2.1.2.5 მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს		**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები :** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები უნდა მიემართებოდეს შესასწავლი თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებს/ინდიკატორებს. **სახელმწიფო ენა:** სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სასურველია შეფასების რუბრიკების შემუშავებისას პედაგოგებმა მეტად გამოიყენონ ესგ-ს მიხედვით სამიზნე ცნებები და საგნობრივი შედეგები, როგორც ორიენტირი. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო მეტად დესკრიპტული, კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისთვის. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.
2.2.1.3 შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო,		**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, პედაგოგებმა მოსწავლეებს წინასწარ და დეტალურად გააცნონ შეფასების კრიტერიუმები და შემდგომ ჩართონ ისინი ურთიერთშეფასების პროცესში.

ობიექტური, სამართლიანი		
2.2.2.1 კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში		**უცხოური ენები :** სასურველია, დამხარე სასწავლო რესურსების მარტივი და მოქნილი გაზირების სისტემის შესაქმენლად კათედრას ჰქონდეს დრაივის სახით ერთი დოკუმენტი, სადაც მოხდება მასალების ატვირთვა და ხელმისაწვდომობა ექნება კათედრის წევრებს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*რჩევა*
2.1.2.1 შემუშავებული კური კულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას		უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმი საჭიროებს სამიზნე ცნებების გადახედვას, რათა მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტებთან განსაზღვრული მოთხოვნების ზუსტი ასახვა.
		მათემატიკა - სასურველია, მე-7 და მე-9 კლასის კურიკულუმში რესურსები იყოს უფრო მრავალფეროვანი და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი. რიგ კურიკულუმებში, ზოგიერთი თემა, თემის სვეტში დაკონკრეტებულია საკითხებით, სასურველია, საკითხები გადაიტანონ საკითხები/ საკითხთა კლასტერის სვეტში

		სპორტი -საბაზო და საშუალო საფეხურზე კურიკულუმის თემა ოლიმპიზმში, სასურველია არ მეორდებოდეს კლასში ერთი და იგივე საკითხები, შესაბამისად შეძლების და გვარად სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).
2.1.2.2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**		**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** **მეშვიდე კლასში** თემის დასახელება მცდარია. წერია ,,თანაბარი მოძრაობა " და უნდა ეწეროს ,,თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა".ვფიქრობ უფრო ტექნიკური ხარვეზია. **მეშვიდე კლასში** თემაში ,,ნივთიერებების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები და თემაში ,,ძალა და წნევა" აკლია ცნება ენერგია. **მერვე კლასის** ფიზიკის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცნებათა დასახელებები მცდარია, მაგ:წერია ცნებები ,,ენერგია და ურთიერთგარდაქმნა და მეორე ცნება წერია მოძრაობა და ცვლილებები,რაც არ შეესაბამება საბაზო საფეხურის ფიზიკის ცნებებს. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. დავალების იდეის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ შემოქმედებითი დავალების იდეა, შეფასების რუბრიკის გარეშე. **მათემატიკა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება.
2.1.2.3 კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ		**უცხოური ენები:** სასურველია, კურიკულუმებშივე აისახოს დამატებითი რესურსები კონკრეტული ბმულის სახით. **სახელმწიფო ენა:** სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. **სპორტი :** სასურველია, სკოლის სპორტულ ინვენტარს დაემატოს ტანვარჯიშის ლეიბი, ამ თემის დაწყებითების კურიკულუმში ასახვისა და სათანადოდ განხორციელების მიზნით.

ი სწავლის შედეგების მიღწევას		
2.1.2.4 სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს		**უცხოური ენები:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში უფრო მეტად იყოს ასახული დიფერნცირება. (კერძოდ, პროცესის, მასალის, პროდუქტის).
2.1.2.5 მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს		**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები :** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები უნდა მიემართებოდეს შესასწავლი თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებს/ინდიკატორებს. **უცხოური ენები:** სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შედგენისას ქულების გრადაცია თითოერუ ლ კრიტერიუმზე იყოს 0-2 სკალის ფარგლებში. **სახელმწიფო ენა:** სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სასურველია შეფასების რუბრიკების შემუშავებისას პედაგოგებმა მეტად გამოიყენონ ესგ-ს მიხედვით სამიზნე ცნებები და საგნობრივი შედეგები, როგორც ორიენტირი. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო მეტად დესკრიპტული, კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისთვის.
2.2.1.3 შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი		სასურველია, პედაგოგებმა მოსწავლეებს წინასწარ და დეტალურად გააცნონ შეფასების კრიტერიუმები და შემდგომ ჩართონ ისინი ურთიერთშეფასების პროცესში.

2.2.2.1 კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში		**უცხოური ენები :** სასურველია, დამხარე სასწავლო რესურსების მარტივი და მოქნილი გაზირების სისტემის შესაქმენლად კათედრას ჰქონდეს დრაივის სახით ერთი დოკუმენტი, სადაც მოხდება მასალების ატვირთვა და ხელმისაწვდომობა ექნება კათედრის წევრებს.
სტანდარტი #2	სასკოლო კურიკულუმი სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
2.1.2.1 შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას		**უცხოური ენები :** უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმი საჭიროებს სამიზნე ცნებების გადახედვას, რათა მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტებთან განსაზღვრული მოთხოვნების ზუსტი ასახვა. **მათემატიკა:** მათემატიკა სასურველია, მე-11 კლასის კურიკულუმში დაემატოს საკითხები, სინუსების თეორემა, კოსინუსების თეორემა. ,,თემის“ სვეტში თემებთან ერთად, ფაქტობრივად, დუბლირებულია სვეტი ,,საკითხი, საკითხთამ კლასტერი“. სასურველია, პირველ სვეტში ჩაიწეროს მხოლოდ თემები. **სპორტი:** **საბაზო და საშუალო საფეხურზე** კურიკულუმის თემა ოლიმპიზმში, სასურველია არ მეორდებოდეს კლასში ერთი და იგივე საკითხები, შესაბამისად შეძლების და გვარად სრულად

		შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).
2.1.2.2 კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს		**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** ძირითად სასწავლო რესურსთან ერთად სასურველია დამატებითი სასწავლო რესურსების გამოყენება.უმჯობესია კურიკულუმში იყოს საკითხთა და ქვესაკითხთა მრავალფეროვნება; ტექსტის ნაცვლად ეწეროს კონტექსტ მაგალითები; **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. დავალების იდეის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ შემოქმედებითი დავალების იდეა, შეფასების რუბრიკის გარეშე. **მათემატიკა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება.
2.1.2.3 კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას		**უცხოური ენები:** სასურველია, კურიკულუმებშივე აისახოს დამატებითი რესურსები კონკრეტული ბმულის სახით. **სახელმწიფო ენა:** სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. **სპორტი :** სასურველია, სკოლის სპორტულ ინვენტარს დაემატოს ტანვარჯიშის ლეიბი,

2.1.2.4 სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს		**უცხოური ენები:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში უფრო მეტად იყოს ასახული დიფერნცირება. (კერძოდ, პროცესის, მასალის, პროდუქტის).
2.1.2.5 მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს		**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები :** განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები უნდა მიემართებოდეს შესასწავლი თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებს/ინდიკატორებს. საშუალო საფეხურზე **ისგ გეგმებში ფიზიკასა და ქიმიაში** პირველი სემესტრის მოსწავლის პროგრესის შეფასების აღწერილობა უნდა დაიწეროს ყველა ცნებასთან მიმართებაში შესასწავლი საკითხის ფარგლებში. **ბიოლოგიასა და ქიმიაში** საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები უნდა მიემართებოდეს საგნობრივი ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. **უცხოური ენები:** სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შედგენისას ქულების გრადაცია თითოერუ ლ კრიტერიუმზე იყოს 0-2 სკალის ფარგლებში. **სახელმწიფო ენა:** სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სასურველია შეფასების რუბრიკების შემუშავებისას პედაგოგებმა მეტად გამოიყენონ ესგ-ს მიხედვით სამიზნე ცნებები და საგნობრივი შედეგები, როგორც ორიენტირი. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო მეტად დესკრიპტული, კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისთვის.
2.2.1.3 შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი		**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, პედაგოგებმა მოსწავლეებს წინასწარ და დეტალურად გააცნონ შეფასების კრიტერიუმები და შემდგომ ჩართონ ისინი ურთიერთშეფასების პროცესში.

2.2.2.1 კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში		**უცხოური ენები :** სასურველია, დამხარე სასწავლო რესურსების მარტივი და მოქნილი გაზირების სისტემის შესაქმენლად კათედრას ჰქონდეს დრაივის სახით ერთი დოკუმენტი, სადაც მოხდება მასალების ატვირთვა და ხელმისაწვდომობა ექნება კათედრის წევრებს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო დასკვნის პროექტში მითითებული ხარვეზების გასწორება.

კერძოდ:

სკოლამ შეასრულა 3.4.1.1 ინდიკატორთან - **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა** დაკავშირებული რეკომენდაცია და უზრუნველყო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა.

სკოლამ წარმოადგინა **განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,** რომლის მიხედვითაც ერთწლიანი ვადის ფარგლებში (04.2026 –04.2027) უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. კერძოდ-

- დაწესებულებამ წარმოადგინა **სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა,**

<u>დასკვნაში ვკითხულობთ:</u>

შემოსვლის თარიღი: 22/12/2025 წ

გასვლის თარიღი: 14/04/2026 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, ახვლედიანის ქ. #28-ში (ს/კ 01.19.17.003.021) მდებარე N156 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა და სეისმურად არამდგრადია. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები II ხარისხისაა (საშუალო დაზიანება) და გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთით, ტექნიკური მოუვლელობით და ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსიობის მიწისძვრებით. აღნიშნულ ხარისხში დაზიანებული შენობები ექსპლუატაციისათვის ვარგისია, თუმცა საჭიროა დროულად ჩატარდეს აღდგენა-გაძლიერებითი სამუშაოები, რითაც მისი სეისმომედეგობა გარკვეულწილად გაიზრდება (იხ. კვლევითი ნაწილი).

ავთანდილ რომელაშვილი

საექსპერტო დასკვნაში მოცემული ფორმულირებები — **„ექსპლუატაციისთვის ვარგისი“** და **„დროულად ჩატარდეს“**— იძლევა საფუძველს, რომ სკოლას მიეცეს რეკომენდაცია, რათა შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (04.2026–04.2027) უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ასევე სკოლამ განახლებული შესაბამისობის გეგმით (04.2026-04.2027) წარმოადგინა მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისს ორგანოსადმი, რის საფუძველზეც ექსპერტთა გუნდმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04.2026-04.2027), უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები** მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

ასევე სკოლამ განახლებული შესაბამისობის გეგმით (04.2026-04.2027) წარმოადგინა მიმართვა სამგორის მუნიციპალიტეტის გამგეობისადმი, რის საფუძველზეც ექსპერტთა გუნდმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04.2026-04.2027) უზრუნველყოს **გარე პერიმეტრის (ღობის)** მთლიანობა,

გარდა ამისა, სკოლამ განახლებული შესაბამისობის გეგმით (04.2026-04.2027) წარმოადგინა მიმართვა სამგორის მუნიციპალიტეტის გამგეობისადმი, რის საფუძველზეც ექსპერტთა გუნდმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგლებში(04.2026-04.2027) სასწავლო გარემოს ინკლუზიურობის გაძლიერების მიზნით, სკოლის ინფრასტრუქტურის აღჭურვა ვერტიკალური გადაადგილების საშუალებებით **(ლიფტი ან მოძრავი პანდუსი),** რათა სრულად იქნას დაცული შშმ პირთა მისაწვდომობის სტანდარტები და უზრუნველყოფილი იყოს მათი დამოუკიდებელი გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე.

აქეედან გამომდინარე:

ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი,

ინდიკატორი 3.5.1.4 — ასევე მეტწილად შესაბამისი.

გარდა ამისა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია მეორე სტანდართან მიმართებით გაზიარებულია ექპსპერტთა მიერ. კერძოდ- ინდიკატორი 2.2.2.3, სკოლამ განახლებული შესაბამისობის გეგმით (04.2026-04.2027) წარმოადგინა მიმართვა საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსადმი და სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (04.2026–04.2027), სკოლამ უზრუნველყოს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის** მოწყობა და მისი აღჭურვა სათანადო ინვენტარით, ხელსაწყოებითა და რესურსებით, როგორც საბაზო ასევე საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის.

ინდიკატორი 2.2.2.3 მეტწილ შესაბამისობაშია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქალაქ თბილისის N156 საჯარო სკოლის მიერ დეკლარირებული **მისია და ხედვა** სრულად რელევანტურია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ჩარჩოსთან. სკოლა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ ფორმალურ სწავლებაზე, არამედ არაფორმალური განათლების გაძლიერებაზე, რაც პირდაპირ პასუხობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზანს — მოსწავლის ნიჭისა და მიდრეკილებების მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებას, სკოლის **ხედვა**, რომელიც ორიენტირებულია შინაგანი მოტივაციის ამაღლებასა და ზნეობრივი, ფიზიკური და კოგნიტური უნარების განვითარებაზე, ქმნის მყარ საფუძველს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა საკუთარ მოვალეობად მიიჩნევს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც არაფორმალური აქტივობებით მოხდება მოსწავლის სოციალური რეალიზება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულება საკუთარ ფუნქციასა და როლს გააზრებულად უკავშირებს უსაფრთხო და პიროვნულ ზრდაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. სკოლის ხედვაში პირდაპირ არის დეკლარირებული ორიენტაცია მოსწავლეთა ზნეობრივი, ფიზიკური, სოციალური და კოგნიტური უნარების განვითარებაზე, რაც სოციო-კულტურული სივრცის ფორმირების უმთავრესი წინაპირობაა. სკოლის, როგორც კულტურული ცენტრის ფუნქცია, მკაფიოდ იკვეთება არაფორმალური განათლების კომპონენტში — საკლუბო მუშაობის მეშვეობით, რაც მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან თვითგამოხატვის შესაძლებლობებს. სკოლის მისია და ხედვა სრულად ასახავს მის მისწრაფებას, იყოს უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებული გარემო სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი (დირექტორის ბრძანება №2-36), რომლის შემადგენლობაშიც, ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ერთად, შედიან მშობლები და მოსწავლეები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. რაც შეეხება სკოლის მიერ წარმოდგენილ კითხვარებს - მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის. კითხვარების შინაარსი (მაგალითად: „სკოლის პროცესების შესაბამისობა ეროვნულ მიზნებთან “, „მშობელთა ჩართულობა “, „მოსწავლეთა აზრის გათვალისწინება “) ადასტურებს, რომ სკოლამ მისიის ჩამოყალიბებამდე მოახდინა არსებული მდგომარეობის ანალიზი და სასკოლო საზოგადოების განწყობების შესწავლა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმი ადასტურებს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები განხილულია მშობლებთან შეხვედრაზე. მშობლებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია სასკოლო გეგმის ყველა კომპონენტზე, მათ შორის სკოლის ფილოსოფიის შესახებ და ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები, ხოლო კითხვარების გამოყენება მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის მიუთითებს, რომ სკოლა მუდმივად იკვლევს, რამდენად შეესაბამება ყოველდღიური რუტინა, რომ განმტკიცდეს სკოლის ღირებულებები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში შესვლისთანავე ვხვდებით სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებებს სკოლის დერეფანში. ასევე სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც გამოქვეყნებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია. მათ შორის სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები ხელმისაწვდომია სკოლის შენობაში სასკოლო საზოგადებისა და სკოლაში შემომსვლელი პირებისთვის, ხოლო სხვა დაინტერესებული პირებისთვის სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ - ქალაქ თბილისის N156 საჯარო სკოლა" და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N156 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი შექმნის შესახებ;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ვებ გვერდი Skolebi156.emis.ge;
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- მშობელთა კრების ოქმი;
- კითხვარარები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. დოკუმენტი ადგენს, რომ დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა ვალდებულია განსაზღვროს საზოგადოების წევრთა მოლოდინები და უზრუნველყოს მათი ჩართულობა. მაგალითად:

თანამონაწილეობითი დაგეგმვა: მეთოდოლოგია განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის ფორმატს, სადაც ადმინისტრაციასთან ერთად სავალდებულო წესით შედიან მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები და მშობლები. ეს უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების ასახვას.

მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხები: დოკუმენტში წარმოდგენილია გაზიარების კონკრეტული მექანიზმები (ვებგვერდი, სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები, პორტალი), რაც უზრუნველყოფს შემუშავებული პროექტების საჯაროობას და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას.

მონაცემებზე დაფუძნებული დაგეგმვა: მეთოდოლოგია ხაზს უსვამს, რომ დაგეგმვის პროცესი იწყება ინფორმაციის შეგროვებით სასკოლო საზოგადოებისგან, სტატისტიკური მონაცემების, აკადემიური მოსწრებისა და კვლევების ანალიზით. სკოლა იყენებს **SWOT ანალიზის** მეთოდოლოგიას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა სრულად შეესაბამება მოცემულ ინდიკატორს. გეგმა განსაზღვრულია შვიდწლიანი პერიოდით (2025–2032 წლები), რაც აკმაყოფილებს მოთხოვნას გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ. ამასთანავე, დოკუმენტი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, რომლებიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ქმნის ერთიან ფილოსოფიურ ჩარჩოს, რომელზეც აგებულია სტრატეგიული განვითარება. მისია, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეზე, უსაფრთხო და ინოვაციური გარემოს შექმნაზე, ასევე ხედვა, რომელიც უკავშირდება 21-ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებას, ლოგიკურად აისახება სტრატეგიულ მიმართულებებსა და მიზნებში. დოკუმენტში წარმოდგენილი სტრატეგიული მიმართულებები — მათ შორის სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და სხვა — შინაარსობრივად თანხვედრაშია მისია-ხედვასთან და უზრუნველყოფს მათ პრაქტიკულ რეალიზაციას. სტატეგიულ გეგმაში თითოეული მიმართულება დაყოფილია შესაბამის ამოცანებად, რაც ადასტურებს მიზნებისა და ამოცანების სტრუქტურულ თანმიმდევრულობას. ამასთან, დოკუმენტი მიუთითებს, რომ სტრატეგიული გეგმის განხორციელება ეფუძნება შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს (SWOT) და ითვალისწინებს მისი პერიოდული გადახედვის შესაძლებლობას, რაც ციკლურობის პრინციპის არსებობაზე მიუთითებს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის სამოქმედო გეგმა განსაზღვრულია ერთწლიანი პერიოდით (2025–2026) დოკუმენტის შესავალ ნაწილში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ იგი გამომდინარეობს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, ასევე სკოლის მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან, რაც ადასტურებს სტრატეგიულ დოკუმენტთან მის თანხვედრას. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშიც იკვეთება სტატეგიულ გეგმის ქმნის ის საფუძველი, რომელზეც ერთწლიანი სამოქმედო გეგმაა აგებული: მასში ჩამოყალიბებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, SWOT-ანალიზი, სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები. ამდენად, იკვეთება ერთწლიანი გეგმის შინაარსობრივი შესაბამისობა სტრატეგიულ გეგმასთან და სკოლის თვითშეფასებასთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნები და ამოცანები თანმიმდევრულად არის გარდაქმნილი კონკრეტულ აქტივობებად. თითოეული სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში წარმოდგენილია დეტალურად გაწერილი აქტივობები, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის მოქნილად განხორციელებას და მიუთითებს გეგმარების სისტემურობაზე. დოკუმენტში განსაზღვრული შესრულების ინდიკატორები და მტკიცებულებების ფორმები (მაგალითად: კურიკულუმები, ოქმები, ანგარიშები, კითხვარების ანალიზი, მონიტორინგის შედეგები და ა.შ), რაც ქმნის შესრულების შეფასებისა და პროგრესის დაკვირვების შესაძლებლობას. შესრულების ვადები გაწერილია წლიური ციკლის ფარგლებში (თვეების მიხედვით), რაც უზრუნველყოფს პროცესის გეგმაზომიერ და რეალისტურ განაწილებას. ვადები, ძირითადად, შეესაბამება დაგეგმილი აქტივობების მოცულობასა და შინაარსს და არის რეალისტური. დოკუმენტში იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, სხვადასხვა ჯგუფები და ა.შ.), რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულების განაწილებას და განხორციელების პროცესის მართვას. ასევე განსაზღვრულია საჭირო რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), რომლებიც შეესაბამება დაგეგმილ აქტივობებს და რეალისტურია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- კითხვარები;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ნათლად განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სკოლას ჩამოყალიბებული აქვს სისტემური მიდგომა, რაც გამოიხატება მონიტორინგის მკაფიო პერიოდულობაში: ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოწმდება წელიწადში ორჯერ (იანვარსა და ივნისში), ხოლო სტრატეგიული გეგმა — ციკლის შუა პერიოდსა და დასასრულს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროცესების მუდმივ კონტროლს და შესაძლებელს ხდის დროულ იდენტიფიცირებას. მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის პროცესი ეფუძნება არა მხოლოდ ფორმალურ აღრიცხვას, არამედ მტკიცებულებების შეგროვებისა და ანალიზის პრინციპს. სკოლა იყენებს თანამედროვე ციფრულ პლატფორმებს (გაზიარებული დრაივები) ინფორმაციის ოპერატიული ასახვისთვის, რაც პროცესს ხდის გამჭვირვალესა და ხელმისაწვდომს სამუშაო ჯგუფის ყველა წევრისთვის. შეფასების ეტაპი, რომელიც მონიტორინგს მოსდევს, ორიენტირებულია მიღებული მონაცემების შინაარსობრივ გააზრებაზე, რაც ხშირად ხდება სამოქმედო თუ სტრატეგიულ გეგმებში ცვლილებების შეტანის საფუძველი. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა იღებს ვალდებულებას, მოამზადოს ნარატიული ტიპის წლიური ანგარიშები, რომლებიც საჯარო ხდება სასკოლო საზოგადოებისა და თემისთვის. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს უკუკავშირის ციკლის შეკვრას და ადასტურებს, რომ სტრატეგიული დაგეგმარება სკოლაში არის არა ერთჯერადი ბიუროკრატიული აქტი, არამედ ხარისხის მართვისა და მუდმივი განვითარების ეფექტიანი ინსტრუმენტი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი განხორციელდება სისტემურად, წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. დადგენილია როგორც პასუხისმგებელი სუბიექტები (სამუშაო ჯგუფი, პასუხისმგებელი პირები), ასევე მონიტორინგის ფორმები — წერილობითი ანგარიშები, შედეგების ანალიზი და აქტივობების სტატუსების მინიჭება. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს შესრულების შეფასების სტრუქტურირებულ და თანმიმდევრულ პროცესს. დოკუმენტი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობასაც, რომელიც გაწერილია ინფორმაციის შეგროვების ეტაპზე გამოკითხვების, ინტერვიუებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები, აგრეთვე დოკუმენტების განხილვა და გაზიარება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. ანგარიშები საჯაროა და ხელმისაწვდომია, რაც ხელს უწყობს უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გაწერილია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების საჯაროობა სკოლის მმართველობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. აღსანიშნავია, რომ სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ მშრალი აღრიცხვით და ანგარიშებს ანიჭებს ნარატიულ ფორმას, რაც ინფორმაციას უფრო აღქმადსა და შინაარსიანს ხდის სასკოლო საზოგადოებისთვის. საჯაროობის უზრუნველსაყოფად სკოლას განსაზღვრული აქვს კომუნიკაციის მრავალფეროვანი არხები: სკოლის ოფიციალური ვებგვერდი, სოციალური მედია და საჯარო ღონისძიებები (პრეზენტაციები). ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის საჯარო განხილვა თემთან, მშობლებთან და სამეურვეო საბჭოსთან ერთად, უზრუნველყოფს ორმხრივ კომუნიკაციას და დაინტერესებულ მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ მიღწეული შედეგების შეფასებაში. განსაკუთრებით აღსაღნიშნავია, რომ — დოკუმენტი ავალდებულებს სკოლას, ყოველ 2 წელიწადში ერთხელ მოამზადოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შეჯამება, ხოლო ყოველწლიურად — სამოქმედო გეგმის ანგარიში. ეს სისტემა არა მხოლოდ ზრდის სკოლისადმი ნდობას, არამედ ადასტურებს, რომ დაწესებულება ღიაა უკუკავშირისთვის და მზად არის, საზოგადოებას წარუდგინოს საკუთარი საქმიანობის რეალური ეფექტიანობა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების სისტემა აგებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე "- ციკლის პრინციპზე. მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები არ არის მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები, არამედ ისინი წარმოადგენენ სკოლის შემდგომი განვითარების მთავარ ორიენტირს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომ სკოლა სისტემურად აანალიზებს სტატისტიკურ მონაცემებს (აკადემიური მოსწრება, გაცდენები, პროექტებში ჩართულობა), რაც საშუალებას იძლევა, განვითარების სტრატეგია დაეფუძნოს არა მხოლოდ ვარაუდებს, არამედ რეალურ ფაქტობრივ სურათს. შედეგების ასეთი გამოყენება

ადასტურებს, რომ სკოლაში არსებობს თვითშეფასების ჯანსაღი კულტურა და მართვის პროცესი ორიენტირებულია უწყვეტ პროგრესსა და ინსტიტუციურ სტაბილურობაზე.

ინიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- კითხვარები;
- სკოლის ფილოსოფიის, მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის HR პოლიტიკა დეტალურად არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვის პროცესებს, მათ შორის პერსონალის შერჩევას, შეფასებას, განვითარებასა და მოტივაციას, რაც თითოეული თანამშრომლის როლისა და პასუხისმგებლობის მკაფიო განსაზღვრას უზრუნველყოფს. შინაგანაწესი კი განსაზღვრავს სკოლის ადმინისტრაციის, დასაქმებულებისა და სხვა მონაწილე მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს, ასევე პასუხისმგებლობის სფეროებს სხვადასხვა პროცესში (უსაფრთხოება, დისციპლინა, საჩივრების მართვა და სხვ.), რაც ქმნის ორგანიზაციული წესრიგის მკაფიო ჩარჩოს. ამასთან, თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი კი უზრუნველყოფს ფუნქციების კიდევ უფრო კონკრეტიზაციას თითოეული პოზიციის დონეზე.

სამივე დოკუმენტი ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და ურთიერთავსებს ერთმანეთს, რის შედეგადაც სკოლაში ჩამოყალიბებულია როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილების გამჭვირვალე და ეფექტიანი სისტემა. აღნიშნული უზრუნველყოფს მართვის პროცესების გამართულობას, პასუხისმგებლობის ზონების მკაფიო გამიჯვნას და საქმიანობის ეფექტიან კოორდინაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის დოკუმენტები გვიჩვენებს, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება არა მხოლოდ მკაფიოდაა განსაზღვრული, არამედ მიზნობრივად არის მიმართული საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად განხორციელებისკენ. HR პოლიტიკა უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების შერჩევასა და პროფესიულ განვითარებას, რაც პირდაპირ აისახება სწავლების ხარისხზე. თანამდებობრივი ინსტრუქციები დეტალურად განსაზღვრავს თითოეული პოზიციის ფუნქციებს, რაც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესების თანმიმდევრულობას. ამასთან, შინაგანაწესი ქმნის ორგანიზაციულ ჩარჩოს, რომელიც არეგულირებს თანამშრომლობას, კომუნიკაციასა და ქცევის სტანდარტებს, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და სტაბილური სასწავლო გარემოს ფორმირებას. დოკუმენტების ურთიერთშეთანხმებული მოქმედება უზრუნველყოფს ფუნქციების ეფექტიან გადანაწილებას, რაც ამარტივებს მართვის პროცესს, აძლიერებს კოორდინაციას და ქმნის პირობებს სასწავლო პროცესის უწყვეტი და ხარისხიანი განხორციელებისთვის. შედეგად, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ასეთი განაწილება პირდაპირ უწყობს ხელს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- HR პოლიტიკა;

- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სკოლის შინაგანაწესი;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები სისტემურად არის მოწესრიგებული და სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას (მათ შორის, შრომის კოდექსსა და ზოგადი განათლების შესახებ კანონს). HR პოლიტიკის დოკუმენტი დეტალურად აღწერს პერსონალის შერჩევის ობიექტურ კრიტერიუმებს, კონკურსის ჩატარების გამჭვირვალე წესებს, თანამშრომელთა შეფასების მეთოდოლოგიასა და პროფესიული განვითარების მექანიზმებს. ამავდროულად, შინაგანაწესი აზუსტებს სამუშაოზე მიღების, გათავისუფლების, დასვენების დროისა და შრომის ანაზღაურების პირობებს, რაც ქმნის სამართლებრივად გარანტირებულ და სამართლიან სამუშაო გარემოს. წარმოდგენილ დოკუმენტებში მკაფიოდ არის გაწერილი შრომითი ურთიერთობების დაწყების, ცვლილებისა და შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები, რაც გამორიცხავს სუბიექტურობას და უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების დაცვას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ატარებს კომპლექსურ ხასიათს და მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მექანიზმებს, რომლებიც დაფუძნებულია რეალურ საჭიროებებზე. პრევენციული მიმართულება მკაფიოდ ჩანს HR პოლიტიკაში, სადაც გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის პროცედურები ახალი კადრების სოციალიზაციისა და ადაპტაციის პროგრამები, ასევე პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა. ეს მექანიზმები ორიენტირებულია პოტენციური პრობლემების (კვალიფიკაციის ნაკლებობა, სამუშაო სტრესი, დემოტივაცია) თავიდან აცილებაზე. ინტერვენციული მექანიზმები კი ასახულია შინაგანაწესში, სადაც გაწერილია კონკრეტული ნაბიჯები ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მაგალითად, შეფასების შედეგად გამოკვეთილი დაბალი მაჩვენებლების შემთხვევაში, სკოლა ახორციელებს მიზნობრივ ინტერვენციას — ტრენინგებს ან ინდივიდუალურ მხარდაჭერას. ასევე, შინაგანაწესი ითვალისწინებს შრომითი დავების გადაჭრისა და საჩივრების განხილვის გამჭვირვალე პროცედურებს, რაც წარმოადგენს კრიზისული სიტუაციების მართვის ეფექტურ ინსტრუმენტს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ ქალაქ თბილისის N156 საჯარო სკოლის პერსონალის შერჩევის პოლიტიკის უზრუნველყოფისთვის სკოლას გააჩნია გამართული სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ვაკანსიების ფართო გავრცელებას, სკოლა ვაკანსიას აცხადებს teacherjobs.ge საშუალებით, რომლითაც უზურუნვეკლყოფს ვაკანსიის შესაბამისი პირობების წარდგენას, კადრების მოზიდვას, კანდიდატთა შერჩევას კომისიის მიერ და შეფასების პროცესის დოკუმენტირებას. ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპები დაცულია როგორც შერჩევის ეტაპზე (კრიტერიუმების წინასწარი განსაზღვრა), ისე შედეგების გამოცხადებისა და გასაჩივრების ეტაპზე. წარმოდგენილი დოკუმენტები იძლევა იმის გარანტიას, რომ სკოლაში დასაქმდება პოზიციის შესაბამისი, კვალიფიციური კადრი. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა და გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები. დოკუმენტაცია სრულად იყო წარმოდგენილი, სრულად აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას, მათ შორის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამუშაო გამოცდილებას, ცნობებს ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 33 უფროსი მასწავლებელი, 22 წამყვანი, 4 მენტორი მასწავლებლის სტატუსს ფლობს. გარდა ამისა, სკოლაში მუშაობენ სპეციალური მასწავლებლები და მათი ასისტენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერას. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა და გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები. დოკუმენტაცია სრულად იყო წარმოდგენილი, სრულად აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას, მათ შორის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამუშაო გამოცდილებასა და სხვა შესაბამის მონაცემებს. მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამებოდა მათ საათობრივ დატვირთვას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან და ეფექტიან ორგანიზებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში დანერგილია კოლეგიური მართვის მექანიზმები (პედაგოგიური საბჭო, კათედრები), თანამშრომელთა აქტიური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღებაში და პროფესიული განვითარების პროცესებში. სკოლის კათედრის დებულება განსაკუთრებულად გამოკვეთს კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკას, ერთობლივ დაგეგმვასა და გამოცდილების გაზიარებას საგნობრივი ჯგუფების ფარგლებში, რაც ხელს უწყობს პედაგოგთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესის განვითარებაში. ამასთან, ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის დოკუმენტი აყალიბებს თანამშრომლობითი პროფესიული განვითარების მოდელს, რომელიც მოიცავს კოლეგიალურ დაკვირვებას, უკუკავშირსა და ერთობლივ რეფლექსიას. აღნიშნული მიდგომა ამყარებს გუნდურ პასუხისმგებლობას და ქმნის უწყვეტი გაუმჯობესების კულტურას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ ქალაქ თბილისის N156 საჯარო სკოლას გააჩნია პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ქმედითი მექანიზმები. აღიარება ხორციელდება როგორც მატერიალური (პრემია, საჩუქარი), ისე საჯარო (მადლობა, ვებგვერდზე განთავსება) ფორმებით. გამოცდილების გაზიარება კი უზრუნველყოფილია მენტორინგის სისტემით, კათედრების მუშაობით. სკოლაში შექმნილია გარემო, სადაც წარმატება ფასდება და ხდება მისი ტრანსფორმაცია საერთო ორგანიზაციულ კულტურად. სკოლის შუნაგანაწესის მიხედვით **წახალისების საფუძვლები:** მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ წახალისება ხდება მოტივაციის ამაღლების მიზნით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისთვის, განსაკუთრებული სირთულის სამუშაოს შესრულებისა და საგანმანათლებლო პროცესში თავის გამოჩენისათვის.
სკოლა იყენებს წახალისების ისეთ ფორმებს, როგორიცაა:

- მადლობის გამოცხადება;
- სიგელით დაჯილდოება;
- ფასიანი საჩუქარი;
- ერთჯერადი (ფულადი) პრემია;
- დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- HR პოლიტიკის დოკუმენტი;
- ვაკანსიის მასალები;
- შრომითი ხელშეკრულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დოკუმენტი.

კათედრის დებულება. შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა წარმოდგენილი HR პოლიტიკის დოკუმენტის რომელშიც ჩანს, რომ სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემა ჩამოყალიბებულია როგორც ერთიანი, უწყვეტი და მიზანმიმართული ციკლი. შეფასების მექანიზმებად სკოლას გაწერილი აქვს სტრუქტურირებული მიდგომა რომელიც ორიენტირებულია განვითარებაზე. შეფასების სისტემა ეფუძნება მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, როგორიცაა: თვითშეფასება (რაც ზრდის თანამშრომლის პასუხისმგებლობას), უშუალო ხელმძღვანელის შეფასება, გასაუბრება და კრიტიკული შემთხვევების ანალიზი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შეფასების პროცესი დაყოფილია ლოგიკურ ეტაპებად (დაგეგმვა, თვითშეფასება, გასაუბრება და საბოლოო შეფასება), რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. პერსონალის შეფასება არ არის იზოლირებული პროცესი; მისი შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი მიმართულებების (საჭიროებების) იდენტიფიცირება. სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით გეგმავს სკოლა „პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. სკოლა იღებს პასუხისმგებლობას პერსონალს შესთავაზოს განვითარების მრავალფეროვანი მეთოდები (როგორც შიდა, ისე გარე რესურსით). მნიშვნელოვანია მატერიალური მხარეც: დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ პროფესიული განვითარების აქტივობები აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, რაც გამყარებულია შესაბამისი ბიუჯეტით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის HR პოლიტიკა განსაზღვრავს, რომ პერსონალის შეფასება წარმოადგენს იმ საფუძველს, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული განვითარების დაგეგმვა. დოკუმენტში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგად

იდენტიფიცირდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რის საფუძველზეც იგეგმება პერსონალის მიზნობრივი განვითარება.

ასევე სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით ჩანს რომ აღნიშნული ჯგუფი მნიშვნელოვნად აძლიერებს აღნიშნულ სისტემას და მას პრაქტიკულ განზომილებას სძენს. ჯგუფის მიერ:

- ხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით (თვითშეფასება, გაკვეთილზე დაკვირვება, შეფასება);

- თითოეულ მასწავლებელთან თანამშრომლობით მუშავდება ინდივიდუალური პროფესიული განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ეს გეგმა პირდაპირ ეფუძნება გამოვლენილ საჭიროებებს (ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების ანალიზს);
- წლის განმავლობაში მიმდინარეობს ამ გეგმის შესრულების მხარდაჭერა, მონიტორინგი და უკუკავშირი;
- წლის ბოლოს ხდება განხორციელებული აქტივობების შეფასება და შედეგების გაანალიზება.

დოკუმენტში წარმოდგენილია კონკრეტული ინსტრუმენტი — ინდივიდუალური განვითარების გეგმის ფორმა, რომელიც მოიცავს:

- ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას;
- გასაუმჯობესებელი მიმართულებების განსაზღვრას;
- შესაბამისი აქტივობებისა და სტრატეგიების დაგეგმვას;
- განხორციელების ვადებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლაში პერსონალის კარიერული ზრდა მხარდაჭერილია სისტემურად, მრავალმხრივი მექანიზმებით, რაც ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ HR პოლიტიკის დოკუმენტებში. სკოლა უზრუნველყოფს როგორც ფორმალურ კარიერულ წინსვლას (სტატუსების სისტემა), ისე პროფესიული განვითარების უწყვეტ შესაძლებლობებს (ტრენინგები, მენტორინგი, პროექტები). ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ადასტურებს, რომ ეს პროცესი არის დაგეგმილი, საჭიროებებზე დაფუძნებული და მონიტორინგის ქვეშ მოქცეული. აღნიშნული ქმნის გარემოს, სადაც თანამშრომლებს აქვთ რეალური შესაძლებლობა პროფესიული და კარიერული წინსვლისთვის. ასევე სკოლა თანამშრომლობს ორგანიზაცია „კარიტასთან“ , რომელიც უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენინგებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლაში თანამშრომელთა ადაპტაცია და ინტეგრაცია განსაზღვრულია, როგორც სისტემური პროცესი, რომელიც რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაცია, ასევე უშუალო ხელმძღვანელი და კოლეგები, რაც ადასტურებს გუნდური პასუხისმგებლობის არსებობას ადაპტაციის პროცესში. ამასთან, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კათედრას, რომლის დებულება დეტალურად აღწერს აღნიშნულ პროცესს. ერთი მხრივ, უზრუნველყოფილია სავალდებულო ჩართულობა — ყველა მასწავლებელი ერთიანდება შესაბამის კათედრაში, რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ავტომატურ ინტეგრაციას პროფესიულ გუნდში; მეორე მხრივ, კათედრა ქმნის თანამშრომლობით გარემოს, სადაც ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს პედაგოგებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება.მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ აღნიშნული მიდგომები პრაქტიკაში რეალურად ხორციელდება და ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია მიმდინარეობს მოქნილად და ეფექტიანად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქარი და ერთჯერადი ფულადი პრემია. აღნიშნული წახალისება უკავშირდება პროფესიულ წარმატებას, მაღალი ხარისხით შესრულებულ სამუშაოს, განსაკუთრებულ მიღწევებსა და საგანმანათლებლო პროცესში აქტიურობას. ეს ქმნის წინაპირობას, რომ პერსონალი იყოს მოტივირებული განვითარებაზე და ინიციატივების გამოვლენაზე. მნიშვნელოვანია, რომ წახალისების ინიციატივის წამოწყება შესაძლებელია არა მხოლოდ დირექტორის მხრიდან, არამედ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის — კათედრის, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის წევრების — მიერ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- HR პოლიტიკა;
- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების მასალები;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფოტო-მასალა.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა სისტემურად არის ორგანიზებული და სრულად ეფუძნება როგორც პროცესულ მიდგომას, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. დოკუმენტი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ სკოლაში დანერგილია პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რაც გულისხმობს ყველა ძირითადი საქმიანობის მკაფიოდ იდენტიფიცირებასა და სტრუქტურირებას. პროცესები დაყოფილია მმართველობით, ძირითად და დამხმარე მიმართულებებად, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის კომპლექსურ და თანმიმდევრულ მართვას.

დოკუმენტი დეტალურად აღწერს **ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**, რომელიც მოიცავს:

- რისკების შეფასებას;
- წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებას;
- პროცესების შემოწმებას;
- დასკვნების მომზადებასა და უკუკავშირს;

- რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

ეს ეტაპები სრულად ასახავს ხარისხის მართვის ციკლურობას (შეფასება-დაგეგმვა-განხორციელება- გაუმჯობესება) და უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის უწყვეტ განვითარებას.

ასევე დოკუმენტი განსაზღვრავს:

- პასუხისმგებელ პირს (დირექტორის მოადგილე);
- შეფასების მეთოდებს (დოკუმენტაციის ანალიზი, ინტერვიუ, დაკვირვება);
- როგორც გეგმიურ, ისე არაგეგმურ შეფასებებს;
- რეკომენდაციების შემდგომ მონიტორინგს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტში პროცესები მკაფიოდ არის კლასიფიცირებული მმართველობით, ძირითად და დამხმარე კატეგორიებად, სადაც თითოეული მათგანისთვის განსაზღვრულია მიზანი, მოსალოდნელი შედეგი, ქვეპროცესები და პასუხისმგებლობები. მნიშვნელოვანია, რომ პროცესების აღწერილობები ინტეგრირებულია შეფასებისა და გაუმჯობესების (PDCA) ციკლში. ამასთან, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა პირდაპირ ეხმიანება იდენტიფიცირებულ პროცესებს კონკრეტული აქტივობების სახით, რაც ადასტურებს სკოლის მართვის სისტემურობასა და თანმიმდევრულობას. გარდა ამისა აღნიშნული პროცესების პრაკტიკული რუტინა გვხვდება სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში, მაგალითად, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწეში, სტრუქტურული ერთეულების თუ თანამდებობრივი ინსტრუქციების აღმწერ დოკუმენტებში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწეში დოკუმენტში განსაზღვრულია განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი. კერძოდ-

- საჩივრის რეგისტრაციის ვალდებულება;
- განხილვის პროცესი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად;
- სხვადასხვა ნორმატიულ აქტზე დაყრდნობა, რაც ზრდის პროცესის სანდოობასა და ლეგიტიმურობას.

ასევე დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს დისციპლინურ წარმოებას, სადაც:

- საჩივრის შეტანა შესაძლებელია სხვადასხვა სუბიექტის მიერ (მოსწავლე, მშობელი, თანამშრომელი და სხვ.);
- არსებობს დისციპლინური კომიტეტი, როგორც კოლეგიური განხილვის ორგანო;
- განსაზღვრულია საქმის განხილვის პროცედურები, მტკიცებულებების წარდგენა, მხარეთა ჩართულობა და გადაწყვეტილების მიღების წესები.

ასევე დოკუმენტში განიხლულია გასაჩივრების მექანიზმიც, რომლის მიხედვით:

- სკოლის დირექტორის ან დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში;
- საჩივარი განიხილება დადგენილ ვადაში (1 თვე);
- პროცესი რეგულირდება ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში პერსონალისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი მექანიზმებით, რომლებიც დეტალურად არის განსაზღვრული შინაგანაწესში. დოკუმენტი ემყარება მოქმედ კანონმდებლობას და მოიცავს დისკრიმინაციის დაუშვებლობას, უსაფრთხო გარემოს შექმნას, სამართლიან და პროპორციულ დისციპლინურ პროცედურებს, აგრეთვე მშობლების ინფორმირებულობისა და ჩართულობის უზრუნველყოფას. აღნიშნული მექანიზმები ფუნქციონირებს სისტემურად და ეფექტიანად უზრუნველყოფს უფლებების დაცვას სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც პერსონალის, ასევე მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებელი პირი. უფლებების დაცვის მიზნით, სკოლა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული მხარეებისთვის; თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი. ამასთან, სკოლაში დასაქმებულნი არიან მანდატურები, რაც დამატებით აძლიერებს უსაფრთხო და დაცულ გარემოს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხს პოლიტიკის დოკუმენტი;
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში -სკოლაში მართვის პროცესები ეფუძნება **სისტემურ, პროცესზე ორიენტირებულ მიდგომას**, რომელიც მოიცავს როგორც ინფორმირების, ისე უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმებს.

მაგალითად,

- სკოლის თითოეულ პროცესში ჩართულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ორგანიზებულ გავრცელებას;
- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რაც პირდაპირ მიუთითებს უკუკავშირის სისტემურ არსებობაზე;
- შესაძლებელია სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, რაც ქმნის ორმხრივი კომუნიკაციისა და ჩართულობის დამატებით პლატფორმას.

ამასთანავე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა პირდაპირ ეხმიანება იდენტიფიცირებულ პროცესებს კონკრეტული აქტივობების სახით და სკოლის ყოველდღიურ რუტინას, სკოლა მიღებულ უკუკავშირს იყენებს პრაქტიკაში. გეგმაში ასახულია კონკრეტული აქტივობები, როგორიცაა კმაყოფილების კვლევები, საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, რაც მიუთითებს, რომ უკუკავშირი რეალურად აისახება სკოლის განვითარების პროცესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კათედრები, თავისი ფორმატით წარმოადგენენ კოლეგიალურ ორგანოებს. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლაში წარმოდგენილია ყველა ის კოლეგიალური ორგანო, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა როგორც სასკოლო ცხოვრებაში, ასევე სკოლის მართვის პროცესებში. კანონმდებლობით გათვალისწინებული კოლეგიალური ორგანოების არსებობა და მათი უფლება-მოვალეობები სრულად უზრუნველყოფს ინდიკატორის შესაბამისობას. მაგალითად, როდესაც სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ - თავისი ფორმატით კოლეგიალური

ორგანოა და შედგება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლისგან, ეს უკვე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობას და ჩართულობას სკოლის ცხოვრებასა და მართვაში. ამრიგად, კოლეგიალური ორგანოების არსებობა და მათი აქტიური ფუნქციონირება სკოლის მართვის პროცესში ქმნის დემოკრატიულ და გამჭვირვალე გარემოს, სადაც ყველა მხარის ინტერესები და მოსაზრებები გათვალისწინებულია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კოლეგიალური ორგანოების ოქმები;
- კათედრის დებულება;
- ხარისხს პოლიტიკის დოკუმენტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ჰყავს მანდატურები, რომელიც უზრუნველყოფს თავის საქმიანობის შესაბამისად მოსწავლეთა უსაფრთხოებას. სკოლას არ ჰქონდა:

- შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. ამასთან, სკოლას მიღებული ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. დასკვნაში მოცემული დარღვევების აღმოფხვრის მიზნით მიმართა შესაბამის სამსახურს. ექსპერთთა ვიზიტის დროს სკოლა იყო მოლოდინის რეჟიმში
- შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა, ასევე
- სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნული საკითხები ასახულია სკოლის შესაბამისობის გეგმაში, სამივე დოკუმენტის შეთანხმების მიზნობრივ თარიღად განსაზღვრულია 16.12.2026.

სკოლის შენობა არის ძველი, სკოლის ეზოს ღობის მთლიანობა არის დარღვეული და საჭიროებს სასწრაფო შეკეთებას. სასკოლო დოკუმენტაციაში გაწერილი რეგულაციებით, შინაგანაწესით და პასუხისმგებლობის გადანაწილებით სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს დარაჯი (სულ სამი). გარდა ამისა, სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. ამასთან, კონტროლდება სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლა. გარეშე პირთა სკოლაში შემოსვლა დაიშვება მხოლოდ დირექციასთან შეთანხმებით.

- სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (16.01.2026–16.12.2026) უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება და შენობის შესაბამისობაში მოყვანა მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებთან.
- სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (16.01.2026-16.12.2026), უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მოქმედ სტანდარტებთან სრული შესაბამისობა.“
- სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (16.01.2026-16.12.2026), უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და მისი მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.“

ხარვეზი: სკოლის გარე პერიმეტრი არ არის სათანადოდ დაცული: ეზოს შემომსაზღვრელი ღობის მთლიანობა მკვეთრად არის დარღვეული, აღნიშნული გარემოება ქმნის გარეშე პირთა და ცხოველთა უკონტროლო შეღწევის მუდმივ რისკს,.

აღნიშნული ხარვეზების საპასუხოდ, ინდიკატორთან (3.4.1.1) მიმართებით არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ შეასრულა 3.4.1.1 ინდიკატორთან - **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა** დაკავშირებული რეკომენდაცია და უზრუნველყო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა.

ასევე სკოლამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის გეგმა. გეგმის ფარგლებში (04.2026–04.2027) გაწერილია აქტივობები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც ერთწლიანი ვადის ფარგლებში (04.2026 –04.2027) უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. კერძოდ-

- დაწესებულებამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა,

<u>დასკვნაში ვკითხულობთ:</u>

შემოსვლის თარიღი: 22/12/2025 წ

გასვლის თარიღი: 14/04/2026 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, ახვლედიანის ქ. #28-ში (ს/კ 01.19.17.003.021) მდებარე N156 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა და სეისმურად არამდგრადია. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები II ხარისხისაა (საშუალო დაზიანება) და გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთით, ტექნიკური მოუვლელობით და ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსიობის მიწისძვრებით. აღნიშნულ ხარისხში დაზიანებული შენობები ექსპლუატაციისათვის ვარგისია, თუმცა საჭიროა დროულად ჩატარდეს აღდგენა-გაძლიერებითი სამუშაოები, რითაც მისი სეისმომედეგობა გარკვეულწილად გაიზრდება (იხ. კვლევითი ნაწილი).

ავთანდილ რომელაშვილი

საექსპერტო დასკვნაში მოცემული ფორმულირებები — **„ექსპლუატაციისთვის ვარგისი“** და **„დროულად ჩატარდეს“**— იძლევა საფუძველს, რომ სკოლას მიეცეს რეკომენდაცია, რათა შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (04.2026–04.2027) უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა. ამავდროულად, სკოლამ წარმოადგინა სამგორის რაიონის გამგეობისადმი გაგზავნილი მიმართვა (№MES 0 26 0000426311), რომლითაც დაწესებულება საექსპერტო დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულებასა და შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას ითხოვს.

ასევე სკოლამ განახლებული შესაბამისობის გეგმით (04.2026-04.2027) წარმოადგინა მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (MES 4 26 0000370272) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისს ორგანოსადმი, რის საფუძველზეც ექსპერტთა გუნდმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04.2026-04.2027), უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

ასევე სკოლამ განახლებული შესაბამისობის გეგმით (04.2026-04.2027) წარმოადგინა მიმართვა სამგორის მუნიციპალიტეტის გამგეობისადმი(MES 0 26 0000426311), რის საფუძველზეც ექსპერტთა გუნდმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (04.2026-04.2027) უზრუნველყოს გარე პერიმეტრის (ღობის) მთლიანობა,

აქეედან გამომდინარე:

ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი,

ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად დასაქმებული ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“შესაბამისად. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი “.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. **ჰყავს მანდატური,** დარაჯი, აქვს ვიდეო -კამერები, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივ წესრიგზე და უსაფრთხოებაზე,

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის შესასვლელსა და დერეფნებში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც იწვევს ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს ასოციაციას. ასევე სკოლას ყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სპეციალური მასწავლებლები, ფსიქოლოგი, პირადი ასისტენტები დაა.შ. რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. იმგვარად იგეგმება აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურუსაფრთხოებას. ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული

ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყავს მანდატურები, რომლებიც ასევე ზრუნავენ სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია. სკოლის ყველა სართულზე გათავსებულ საპირფარეშოებში (ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ბიჭებისთვის) დაცული იყო ყველა ჰიგიენური ნორმა.სარეცხი და დასასუფთავებელი ქიმიებისთვის გამოყოფილი აქვთ ცალკე ოთახი, სკოლაში დასაქმებულნი არიან შესაბამისი პირები - 2 დამლაგებელი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი. დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს (კანონიერება, მიზნობრიობა, პროპორციულობა, მონაცემთა სიზუსტე და უსაფრთხოება) და მოიცავს როგორც დასაქმებულთა, ასევე მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული პირების მონაცემთა დამუშავების სრულ ციკლს. განსაზღვრულია მონაცემთა კატეგორიები, დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კანონიერებას. სკოლაში დანერგილია როგორც ორგანიზაციული, ისე ტექნიკური დაცვის მექანიზმები: შეზღუდულია მონაცემებზე წვდომა კომპეტენციის მიხედვით, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, მონაცემთა შენახვის ვადები და მათი განადგურების/დაბლოკვის წესები. ცალკე რეგულირდება ელექტრონული სისტემების (emis, Teams), ვიდეომონიტორინგის, ელექტრონული ჟურნალისა და პირადი საქმეების წარმოების პროცესში მონაცემთა დაცვა, რაც მიუთითებს პროცესების სტრუქტურირებულობასა და პრაქტიკულ უზრუნველყოფაზე.ამასთან, სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის ფუნქციაა მონაცემთა დამუშავების პროცესების მონიტორინგი, კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, პერსონალის კონსულტირება და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის ხელშეწყობა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, პროგრამაში (განათლების მართვის

სისტემის მიერ ლიცენზირებული) არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. სკოლაში დაცულია, ინფორმაციული უსაფრთხოება, სკოლას კომპიუტერული სისტემები დაცული აქვს ანტივირუსული პროგრამებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანზიმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა. სამომავლოდ სკოლა გეგმავს უკუკავშირის სისტემის დანერგვას მიზნობრივი კითხვარების მეშვეობით, რაც საშუალებას მისცემს პერიოდულად შეაფასოს და შემდეგ განავითაროს სკოლის მართვის სისტემები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N156 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები;
- ორგანიზაცია ,,კარიტასის'' მიერ გაცემული თანამშრომლობის ამსახველი მასალები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს;
- სკოლის წერილი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით
- სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი;
- მოსწავლის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- სკოლის მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტაცია;
- სკოლის უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილ პირების განსაზღვრის შესახებ ბრძანება;სსიპ ქალაქ თბილისის N156 საჯარო სკოლის ფსიქოლოგის ანგარიში;
- სკოლის წერილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს 8646.00კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებულია 4019.38კვ.მ შენობა-ნაგებობები. საგანმანათლებლო პროცესისთვის სკოლას აქვს 26 საკლასო ოთახი, თითოეული აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და სხვა საჭირო ინვენტარითა და თვალსაჩინოებებით.გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში ფუნქციონირებს დირექციის კაბინეტი, კანცელარია, სამედიცინო კაბინეტი, დარაჯის ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, საკონფერენციო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ყველა ოთახი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლა აღჭურვილია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად საჭირო საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. მის საკუთრებაშია 68 ლეპტოპი, ხოლო 29 ლეპტოპი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ხოლო ნაწილი – სკოლის სხვადასხვა სივრცეში. სკოლას აქვს პრინტერი/ქსეროქსი. სამასწავლებლოში განთავსებულია მაგიდები, სკამები, კარადები. სპორტულ დარბაზში არის სპორტული ინვენტარი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური

გათბობის სისტემა, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112) და საევაკუაციო გეგმა. ყველა სართულზე განთავსებულია გოგონების, ვაჟების და მასწავლებლების სველი წერტილები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით, სადაც გამოკრულია ქცევის წესები. პედაგოგები იყენებენ სამასწავლებლოს, კომპიუტერულ ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკას საკუთარი იდეებისა და ინიციატივების წარმოსაჩენად და განსახორციელებლად. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია ისარგებლოს სააქტო და სპორტული დარბაზებით, ბიბლიოთეკითა და მისი წიგნადი ფონდით, ასევე სკოლის მატერიალური ბაზითა და გარე სპორტული მოედნებით. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა, რომელთა რესურსების გამოყენება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. გარდა ამისა, სკოლაში მოწყობილია რესურს-ოთახი, სადაც გამოკრულია ამ ოთახით მოსარგებლე მოსწავლეთა ინიციალებით სამუშაო საათები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ვიზუალური დათვალიერებით აქვს ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლო შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელებს. დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს და თანამშრომლებს ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, წასაკითხი მასალის შერჩევაში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ბიბლიოთეკის დოკუმენტბრუნვა მოწესრიგებულია და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ფიზიკური გარემოს

ხელმისაწვდომობას სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის. თუმცა, სკოლის შესასავლელში არის ე.წ ,,მოძრავი ლიფტი-პანდუსი"და უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში ეტლით მოსარგებლე მოსწავლეების თავისუფალ და უსაფრთხო შემოსვლას შენობაში. სკოლას არ აქვს შიდა პანდუსი. აღნიშნული საკითხი ასახულია სკოლის შესაბამისობის გეგმაში, რომლის მიხედვითაც სკოლას ლიფტის დამატების მიზნობრივ თარიღად განსაზღვრულია 16.01.2026-16.12.2026.

გარდა ამისა, სკოლაში მოწყობილია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად. აღნიშნულ ოთახში განთავსებულია როგორც სასწავლო, ასევე დამხმარე საშუალებები, რომლებიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სრულფასოვან ჩართულობას

სასწავლო პროცესში. რესურს ოთახი უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ მუშაობას და წარმოადგენს უსაფრთ ხო და კომფორტულ სივრცეს მოსწავლეებისთვის. სკოლას არ აქვს შიდა პანდუსი.

ამ ეტაპზე სკოლაში არ ირიცხება ეტლით მოსარგებლე მოსწავლე.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას განახლებული შესაბამისობის გეგმით (04.2026-04.2027) წარმოადგინა მიმართვა სამგორის მუნიციპალიტეტის გამგეობისადმი (MES 4 26 0000081183 და MES 9 26 0000031543), რის საფუძველზეც ექსპერტთა გუნდმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და სკოლას მიეცა რეკომენდაცია განახლებული შესაბამისობის გეგმის ფარგლებში(04.2026-04.2027) სასწავლო გარემოს ინკლუზიურობის გაძლიერების მიზნით, სკოლის ინფრასტრუქტურის აღჭურვა ვერტიკალური გადაადგილების საშუალებებით (ლიფტი ან მოძრავი პანდუსი), რათა სრულად იქნას დაცული შშმ პირთა მისაწვდომობის სტანდარტები და უზრუნველყოფილი იყოს მათი დამოუკიდებელი გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე.

ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებულმა ადგილზე ვიზიტმა აჩვენა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან სოციო-კულტურულ დატვირთვას ატარებს. მისი მდებარეობისა (თბილისის გარეუბანი) და ადგილობრივი თემის სოციო-ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, სკოლა ფაქტობრივად ერთადერთი სივრცეა, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ პიროვნული, კულტურული და

ინტელექტუალური განვითარების შესაძლებლობა. ამასთანავე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არაფორმალური განათლების განვითარება, რომელიც სკოლას აძლევს შესაძლებლობას, გააფართოოს სასწავლო პროცესის ფარგლები და შექმნას მრავალფეროვანი აქტივობები. არაფორმალური განათლება მნიშვნელოვან წვლილს შეაქვს მოსწავლეთა სოციალური, კომუნიკაციური და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში, ხელს უწყობს მათი ინტერესების გამოვლენასა და თვითრეალიზაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გარემოში, სადაც ალტერნატიული განვითარების შესაძლებლობები შეზღუდულია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მიმართვა სპორტული მოედნის საჭიროების შესახებ;
- მიმართვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორზატორიის აღჭურვილობის შესახებ;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესის ეფექტიან და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის წარმართვას. სკოლაში ფუნქციონირებს 29 ლეპტოპი, პრინტერი, 1 პერსონალური კომპიუტერი, რაც საშუალებას აძლევს როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს, საჭიროებისამებრ გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის. ყველა ეს ტექნიკური საშუალება განთავსებულია კეთილმოწყობილ კაბინეტში, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს სასწავლო გარემოს ხარისხს. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტ კავშირით, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს როგორც სასწავლო რესურსებზე წვდომას, ისე ადმინისტრაციული პროცესების მართვას. მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ აღნიშნული ტექნოლოგიებით როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობისას. სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც აისახება როგორც ტექნიკური ბაზის განახლებაში, ისე ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის კომპიუტერები და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის და სკოლა უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას. სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა, რომლითაც ვხედავთ რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა და აქვს კონკრეტული ხედვა მისი განვითარებისთვის წარმოდგენილი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- ციფრული განვითარების გეგმა;
- კომპიუტერული ტექნიკა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში დოკუმენტბრუნვის პროცესი სრულად არის მოწესრიგებული და შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ადმინისტრაციული საქმიანობის გამართულობას უზრუნველყოფს 2025 წლის 29 დეკემბრის №2-391 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი". აღნიშნული წესი დეტალურად განსაზღვრავს შემოსული, გასული და შიდა კორესპონდენციის დამუშავების ეტაპებს, ბრძანებების მომზადების სტანდარტებსა და კოლეგიური ორგანოების სხდომების ოქმების წარმოების წესს. სკოლაში დანერგილია სავალდებულო სარეგისტრაციო ჟურნალების სისტემა, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულ მოპოვებასა და დოკუმენტაციის დაცულობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოქალაქეებთან კომუნიკაციასა და ხარვეზების დადგენის პროცედურას, რაც მიუთითებს ადმინისტრაციული პროცესების გამჭვირვალობასა და კეთილსინდისიერებაზე. მატერიალური საქმისწარმოებისთვის აუცილებელი ჟურნალები სრულად არის შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების ყოველდღიურ რუტინაში განხორციელებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოებათან დაკავშირებით, სკოლა იყენებს E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (ESCHOOL), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი და დეტალურად შევსებული პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რაც უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესების გამჭვირვალობასა და ეფექტიან მართვას. Eschool-ის ბაზაში სრულად არის ასახული სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების მონაცემები, მათ შორის თითოეული კლასის შემადგენლობა, მოსწავლეთა მობილობის ისტორია, დონის დაძლევის შედეგები, მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცედურები, ასევე სახელმძღვანელოების

არჩევის და განაწილების დეტალები. გარდა ამისა, სისტემაში რეგულარულად განახლდება ინფორმაცია როგორც მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ისე მათი დასწრების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრების შესახებ. ეს მონაცემები საშუალებას აძლევს სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და შესაბამის სტრუქტურებს, დროულად მიიღონ გადაწყვეტილებები როგორც სასწავლო პროცესის, ისე მოსწავლეთა ინდივიდუალური მხარდაჭერის მიმართულებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აწვდის საჭირო ინფორმაციას, უკუკავშირს და ანგარიშებს. კერძოდ, სკოლა აქტიურად თანამაშრომლობს ისანი-სამგორის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან გარდა აღნიშნულისა, სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის Eschool-ის ბაზა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, eflow;
- მატერიალური ჟურნალები;
- E-flow;
- Eschool.emis.ge სკოლის პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე სკოლის სხვადასხვა აქტივობის ამსახველი მასალები. გარდა ამისა, სკოლას აქვს საკუთარი Facebook გვერდი, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე და უკვე განხორციელებული პროექტების, სასწავლო და ინტელექტუალური ღონისძიებების, კონკურსებისა და ოლიმპიადების შესახებ. სოციალურ ქსელში შექმნილია სპეციალური ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლებისათვის), რომელთა მეშვეობით წევრები იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. სკოლის სოციალური ქსელი ღიაა, საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ მონაცემები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც შესაბამისი მასწავლებლები და მშობლები იყენებენ. ინფორმაციის გაცვლა, მიღება და დამუშავება ასევე ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია ამ სივრცეებში იყოს დროულად და სწორად განთავსებული.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. ეს ინფორმაცია არის ზუსტი და სანდო, რასაც ადასტურებს შესაბამისი ფოტომასალა (რომელიც ქვეყნდება მშობლების თანხმობით) და სხვადასხვა ღონისძიებების, პროექტებისა თუ შეჯიბრებების დოკუმენტური დასტურები. სკოლის ადმინისტრაცია სრულ პასუხისმგებლობას იღებს იმაზე, რომ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და შეესაბამებოდეს რეალობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად მართავს კომუნიკაციას როგორც მშობლებთან, ისე მოსწავლეებთან — იქნება ეს მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები თუ სხვა ფორმატი. დირექცია მუდმივად იღებს მათგან უკუკავშირს და ამ ინფორმაციას იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. სკოლა ღიაა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის და მიღებულ უკუკავშირს იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა ახლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს და ამ ეტაპზე აყალიბებს სისტემურ ცვლილებებს, უკუკავშირის შედეგების პრაქტიკული ასახვა მოსალოდნელია უახლოეს მომავალში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზედაც მუდმივად ხდება ინფორმაციის განახლება და სიახლეების გამოქვეყნება. ვებ-გვერდი არის ქართულენოვანი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე გათავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, საკონტაქტო ინფორმაცია. სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი; Skolebi156.emis.ge;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- ელექტრონული ჟურნალი;
- დირექტორის ბრძანება #2-409 „სკოლის ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ “.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა მიზნად ისახავს ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, რათა ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თანაბარი წვდომა ხარისხიან განათლებაზე. ბიუჯეტის დაგეგმვისას, სკოლა ითვალისწინებს მოსალოდნელ შემოსავლებს, პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროგნოზირებულ ხარჯებს, წინა წლის ანალიზს და საბიუჯეტო პროცედურებს. სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება სკოლის შემოსავლების ძირითადი წყაროა, სკოლა ახერხებს დამატებითი სახსრების მოზიდვას ეკონომიკური საქმიანობიდან და მათ მიმართვას სკოლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სკოლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს დასახული სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ვაუჩერული დაფინანსების დიდი ნაწილი მიმართულია პერსონალის შრომის ანაზღაურებასა და კომუნალური გადასახადების დაფარვაზე. ბიუჯეტი ასევე მოიცავს საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების შეძენისათვის საჭირო თანხებს, ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის საჭირო რესურსების ფინანსურ უზრუნველყოფას და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისათვის. სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხები სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების სრულ მართვას, რაც მოიცავს დაგეგმვას, კორექტირებას, განაწილებასა და კონტროლს. კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ მომავალი წლის ბიუჯეტს. ბიუჯეტის შემუშავებისას გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და საჭიროებები, რაც აისახება როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ნაწილში. სასწავლო წლის განმავლობაში, ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების გამო, ხშირად დგება ბიუჯეტში კორექტივების შეტანის აუცილებლობა. ბიუჯეტის ცვლილებები ხორციელდება დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განხილვის საფუძველზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის დოკუმენტაცია;
- სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ბიუჯეტი;
- შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია თანაბარი პირობები განათლების მისაღებად. სკოლის ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსებით მოსწავლეები სარგებლობენ დისკრიმინაციის გარეშე და თანაბრად. აღნიშნული დადასტურდა სკოლის დოკუმენტაციის გაცნობით და ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით. მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიას წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი და ის ღონისძიებები, რასაც სკოლა ატარებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვის კუთხით. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მშობლების პერსონალური მონაცემების სათანადო წესით დამუშავებასა და დაცვას. მშობელები ინეტრვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ მათ მყისიერად მიეწოდებათ ნებისმიერი ინფორმაცია მოსწავლეთა

მიღწევასა თუ გამოწვევებზე სასკოლო სივრცეში, ამავე მიზნით ხშირად ეწყობა მშობელთა კრებებიც. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს სადისციპლინო კომიტეტიც, სხდომებზე განხილული აქვთ მოსწავლეთა უფლებათა დაცვის რამდენიმე ქეისი, რის გამოძახილზეც, უკვე სადამრიგებლო პროგრამებში შევხვდით იმავე თემის- მოსწავლეთა ბულინგის გარშემო ცნობიერების ამაღლების მიზნით გაწერილი პროექტები, რამაც, როგორც მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა ინტერვიუირები გვიჩვენებს შედეგი გამოიღო და აღნიშნულ კლასებში მოსწავლეთა შორის ბულინგი აღმოფხვრილია. სკოლას ჰყავს დარაჯი და მანდატურები, რომლებიც ზრუნავენ საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ , სკოლას შემუშავებული აქვს სართულებზე მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის სამუშაო გეგმას, სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია დერეფანში და ყოველი ცვლილება ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლაში თვალსაჩინოდაა გამოკრული მოსწავლის ქცევის კოდექსი. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი კი გამოკრულია სამასწავლებლოში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს ინდივიდუალური პესონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალური ფორმები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;

- მშობელთა კრების ოქმი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სადამრიგებლო პროგრამა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფხურის დაძლევის,მობილობის, სტატუსის შეჩერებისა შეწყვეტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და მოიცავს საჭირო დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების აღწერას. სკოლის ადმინისტრაციის წევრებმა გასაუბრების დროს განმარტეს, რომ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის'' თანახმად. აღნიშნული ბრძანებითვე ახდენს სკოლა სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურას. სკოლაში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის'' შესაბამისად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით და მოსწავლეთა პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. მოსწავლის სტატუსის არმქონე პირი სხვადასხვა კლასში შეიძლება ჩაირიცხოს დირექტორის ბრძანებით, მშობლის განცხადების საფუძველზე. სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის წესები, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დამრიგებლებთან,მშობლებთან გასაუბრებითა და მშობელთა კრების ოქმებით დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლაში დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე, სასკოლო ექსკურსიებისა და სკოლაში კონკრეტულ სასწავლო წელს შექმნილი კლუბების შესახებ; სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების, როგორც უფასო (მაგალითად, კლუბი „მემატიანე“)ისე ფასიანი (კალათბურთის კარატის)წრეები. მოსწავლეებისა და მშობლების არჩევანს მე-2 უცხოურ ენასთან დაკავშირებით სკოლის დირექცია ითვალისწინებს და ასახავს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ხელმისაწვდომია მშობლებისა და მოსწავლეებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;

- გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან;
- გამოკითხვის ბმულები (Google Forms

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებითა და პირველკლასელთა დამრიგებელთა პროგრამით/პორტფოლიოთი დადგინდა, რომ პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს და მოსწავლეებს ღია კარის დღეს, აცნობენ სკოლის სივრცეს და პასუხობენ მშობლების/კანონიერ წარმომადგენელების მიერ დასმულ კითხვებს.უშაოლდ სწავლის დაწყების დღეს კი, სკოლა აწყობს საზეიმო მიღებას, თეატრალური წარმოდგენებით, სკოლის დირექცია და პირველ კლასელთა დამრიგებლები ხვდებიან მოსწავლეებს. მაღალი კლასებისახლადგადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით კი სკოლის დირექცია დამრიგებელს აცნობს მოსწავლეს, რომელიც წარუდგენს მას კლასის დანარჩენ მოსწავლეებსა და საგნის მასწავლებლებს,მოსწავლეს აცნობენ სკოლის შენობას, ტერიტორიას, შინაგანაწესს და სკოლაში/კლასში დამკვიდრებულ წესებს. ადაპტაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება გასვლითი ღონისძიებები, ჯგუფური სამუშოები და როლური თამაშები. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების მიღების პროცედურა და სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები, სადამრიგებლო პროგრამებში ასევე გაწერილია დამრიგებლის მუშაობის მიმართულებები დამეგობრებისა და კლასში მეგობრული ატმოსფეროს დამკვიდრების მიმართულებით, რაც მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობის ნაწილია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლამ წარმოადგინა „მოსწავლის ადამპტაციის წესი". დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ ადაპტაციაზე ზრუნვა სწავლის დაწყებამდე გაცილებით ადრე იწყება. სკოლა არ ელოდება სირთულეების წარმოქმნას; ნაცვლად ამისა, ფსიქოლოგი წინასწარ სწავლობს პირველკლასელთა სასკოლო მზაობას, სოციალურ-ემოციურ მდგომარეობასა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამას ემატება ე.წ. „საორიენტაციო ვიზიტები ", რომლებიც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, წინასწარ გაუშინაურდეს ფიზიკურ გარემოს, რაც სწავლის დაწყების მომენტში სტრესის დონეს მნიშვნელოვნად ამცირებს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა ითვალისწინებს ადაპტირებას:

- **მობილობით გადმოსული მოსწავლეებისთვის:** დამრიგებელი ვალდებულია პირველივე გაკვეთილზე უზრუნველყოს მათი წარდგენა და გააცნოს სკოლის შინაგანაწესი.

- **სსსმ მოსწავლეებისთვის:** ხდება გარემოს ფიზიკური ადაპტაცია და საჭიროების შემთხვევაში ასისტენტის დროული მობილიზება.

- **ეთნიკური უმცირესობებისთვის:** მასწავლებლები ვალდებულნი არიან, ენობრივი ბარიერის პირობებშიც კი, კულტურათაშორისი დიალოგითა და დამხმარე საშუალებებით ჩართონ ბავშვი პროცესში. დოკუმენტი აჩვენებს, რომ სკოლისთვის ადაპტაცია არის არა ერთჯერადი აქცია, არამედ გაზომვადი და სტრუქტურირებული პროცესი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ, ემოციურ და სოციალურ ასპექტებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ მოსწავლე სარგებლობს უფლებით სემესტრული გამოცდის საფუძველზე აიმაღლოს სემესტრული შეფასება, თუ თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. მასწავლებლები მოსწავლეებს კონსულტაციებს უწევენ ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის წინ. მშობლებთან გასაუბრებამ და მასწავლებელთა პორტფოლიოების შესწავლამ ცხადყო, რომ პედაგოგები ეწევიან რემედიაციის პროგრამას მოსწავლეებთან შესაბამისად, დგინდება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად .

ინიდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი მშობლების დროულ ინფორმირებას სკოლაში დაგეგმილი, კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. ამასთან, სკოლა აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინიციატივებს, ხელს უწყობს მათ

ჩართულობას და უზრუნველყოფს შესაბამის დახმარებას სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შესაბამისი სივრცის გამოყოფას სასკოლო ღონისძიებებისა და კონფერენციების ორგანიზებისთვის. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთათვის შინ სწავლების მომსახურების შეთავაზებას, შესაბამისი წინაპირობებისა და დადგენილი პროცედურების სრული დაცვით. ამავე დროს, სკოლა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებმა კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით მიიღონ დროული და ეფექტიანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა, დადგენილ ვადებში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა ინტერესებზე ორიენტირებული მრავალფეროვანი სასკოლო გარემო, რაც დასტურდება განხორციელებული პროექტებისა და არაფორმალური განათლების აქტივობების სიმრავლით. მაგალითად, პროექტები, „ეკომეგობრული სკოლა“, „ჯანსაღი ცხოვრება - ჯანმრთელობის საწინდარია“ და „კულტურული მემკვიდრეობა“. აღნიშნულ ინიციატივებში ჩართული იყო დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეული (კათედრა). სკოლა აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეთა თვითორგანიზებასა და ლიდერული უნარების განვითარებას. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და ადმინისტრაციის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „წარმატებული სპორტსმენები და მხატვრები“, რომლის ფარგლებშიც მოეწყო მოსწავლეთა მიღწევების ამსახველი ექსპოზიცია. თვითმმართველობის ეგიდით, ტრადიციულ ხასიათს ატარებს სასკოლო ჩემპიონატი ფეხბურთში, იმიტირებული სასამართლო პროცესები და კულტურულ-გასართობი ღონისძიებები, მათ შორის საახალწლო კარნავალი. ასევე, მოსწავლეთა მოთხოვნის საფუძველზე, სკოლის ტერიტორიაზე მოეწყო რეკრეაციული/მოსასვენებელი სივრცე. დაწესებულებაში სისტემურად მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა („ნორჩ ისტორიკოსთა კლუბი“, „ეკო-კლუბი“), რომელსაც უძღვება სათანადო კომპეტენციის მქონე პერსონალი. გარდა ამისა, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა ფორმატის არაფორმალურ აქტივობებს: შემეცნებით ექსკურსიებს, გასვლით გაკვეთილებს, ვიზიტებს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, შეჯიბრებებსა და კონფერენციებს. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მსგავსი აქტივობების განხორციელების უწყვეტ მხარდაჭერას, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ისე საკონსულტაციო რესურსით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციასა და მათი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას.“.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა აზრის სისტემური შეგროვებისა და გათვალისწინების პრაქტიკა. კლასის დამრიგებლები რეგულარულად აწარმოებენ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ კომუნიკაციას, რომლის საფუძველზეც ხდება მათი მოსაზრებების, საჭიროებებისა და ინტერესების იდენტიფიცირება. მიღებული უკუკავშირის ანალიზის შედეგად ხდება მოსწავლეთა იდეების გაზიარება და მათი ინტეგრირება სასკოლო აქტივობებსა და ინიციატივებში.

მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლეთა ინტერესებისა და როგორც მოსწავლეთა, ისე მშობლების უკუკავშირის გათვალისწინებით დაფუძნდა სხვადასხვა სასკოლო კლუბი, რაც მიუთითებს უკუკავშირის პრაქტიკულ გამოყენებაზე. აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხორციელდება როგორც პირდაპირი კომუნიკაციის, ასევე კითხვარების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და სანდოობას. ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა ეფექტიანად ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შემუშავებული კითხვარები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესის.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება მეტწილად ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის და ორგანიზებულია სისტემურად. სკოლა რეგულარულად გეგმავს და ახორციელებს შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას გაეცნონ შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და პროფესიული საქმიანობის სპეციფიკას. ასევე, XI-XII კლასის მოსწავლეთათვის ორგანიზებულია შეხვედრები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, რაც მათ ეხმარება შემდგომი განათლების დაგეგმვასა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.დამრიგებლები აქტუალური თემის ფარგლებში მოსწავლეებს უტარებენ საუბრებს პროფესიული უნარების განვითარების თაობაზე, რომლის ფარგლებშიც შედგა შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან.

ინტერვიურებიდან ჩანს, რომ სკოლაში განხორციელებული აქტივობები და პროექტები ეფექტურად უწყობს ხელს მოსწავლეთა თვითშემეცნების, ცოდნა-უნარ-ჩვევების განვითარებას, კარიერული მიზნების ჩამოყალიბებასა და დასაქმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარის გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ სკოლა თანამშრომლობს ორგანიზაციასთან „კარიტასი", რომელიც ახორციელებს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ პროგრამებს. აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს მუშაობას მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს გაძლიერებას. ასევე, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი „თანატოლგანმანათლებლების" პროგრამაში, რაც ხელს უწყობს მათი სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში, საბაზო და საშუალო საფეხურის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. ამ მიზნით დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს, იღებენ მათგან ინფორმაციას, თუ ვის რა პროფესიული განათლების მიღება ან სწავლის უმაღლეს სასწავლებელში გაგრძელება სურს. დამრიგებლები უზრუნველყოფენ აღნიშნული ინფორმაციის დირექციისათვის მიწოდებას, რომლის საფუძველზეც დირექცია უზრუნველყოფს უნივრსიტეტებთან ან/და კოლეჯებთან შეხვედრების ორგანიზებას, ადგილზე ვიზიტსა და გარემოს დათვალიერებას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, დაწესებულება ეფექტურად იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა არხს:

- **შიდაორგანიზაციული** - საკლასო შეხვედრები და ჯგუფური კონსულტაციები, სადაც ხდება კარიერული შესაძლებლობების განხილვა;
- **ციფრული რესურსები:** სკოლის ოფიციალური სოციალური გვერდები, სადაც ვრცელდება ინფორმაცია საგანმანათლებლო სიახლეებისა და პროფესიული ორიენტაციის პროგრამების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე ქმნის კითხვარებს, პერიოდულად აწარმოებს გაწეული მუშაობის კვლევას. ამზადებს კითხვარებს მშობლებისთვისაც, ხოლო მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო წლის აქტივობებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- კითხვარები;
- ,,კარტისათან“: ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტაცია.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში ვხედავთ რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პედაგოგიურ მხარდაჭერას, ინდივიდუალურ მიდგომებს, მშობლისა და სპეციალისტების ჩართულობას, რესურსების უზრუნველყოფას და ინკლუზიური განათლების თანამედროვე პრინციპების დაცვას. მაგალითად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აღმწერი პროცესები, ალტერნატიული მეთოდები და მხარდაჭერა, შეფასების სისტემა, ფიზიკური გარემოს ადაპტირების გაუმჯობესების მექანიზმები, ასევე სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალები, კითხვარები იძლევა შეფასების საშუალებას, რომ სკოლას აქვს ჩამოყალიბებული მექანიზმი სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისთვის, რომელიც მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, მრავალპროფილური სამუშაო ჯგუფის შექმნას, პროცესის მონიტორინგს, მშობლებისა და სპეციალისტების ჩართულობას, რესურსების უზრუნველყოფას და სისტემურ კომუნიკაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მონაწილეობით. ამ ჯგუფში შედიან: კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, მშობელი და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები. ასევე, დოკუმენტში ნათქვამია,

რომ მშობელი აქტიურად არის ჩართული როგორც ისგ-ის შემუშავებაში, ასევე მისი განხორციელების მონიტორინგში. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას, მოსწავლეთა შორის თანამშრომლობას, ჯგუფურ მუშაობას, პროექტებში მონაწილეობას და საერთო პასუხისმგებლობის განცდას, ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის სპეციალური პედაგოგებთან ინტერვიურებითაც ჩანდა, რომ აღნიშნული პროცესების იმპლემეტაცია ხდება წარმოდგენილი მექანიზმების მიხედვით, ხოლო კითხვარში ჩანს, რომ როგორც მშობელი, ასევე სპეციალური მასწავლებელი აქტიურად არიან ჩართულნი სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში, გადაწყვეტილებების მიღებაში, ინდივიდუალური გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. მშობელი ადასტურებს, რომ ისგ ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, მასწავლებლები ქმნიან მოსწავლეზე მორგებულ აქტივობებს, სკოლა უზრუნველყოფს საჭირო რესურსებს და კომუნიკაცია ყველა მხარესთან სისტემურია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში, მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია უფასო კლუბური მუშაობა, კერძოდ: „ეკო კლუბი“ და კლუბი „მემატიანე“. გარდა ამისა, სკოლაში ხორციელდება დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა - „ღირებულებითი განათლება“,

სკოლის ფართებით სარგებლობენ კარატესა და კალათბურთის წრეები (საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე), რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, სკოლის ტერიტორიაზევე დაეუფლონ სპორტის აღნიშნულ სახეობებს.

სკოლა ჩართულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამაში - „საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა“. მოცემული ეტაპისთვის ამ მომსახურებით 62 მოსწავლე სარგებლობს. ტრანსპორტირების პროცესის შეუფერხებელი და უსაფრთხო მუშაობის მიზნით, სკოლის მიერ განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც კოორდინაციას უწევს მოსწავლეთა გადაყვანას.

მოსწავლეთა კვებითი უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედი სასადილო, სადაც დაცულია შესაბამისი ჰიგიენური და კვების ნორმები. აღნიშნული მომსახურება ქმნის ხელსაყრელ პირობებს მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისა და უსაფრთხო სასკოლო გარემოსთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის ბრძანებით (№2-01) განსაზღვრულია მონიტორინგის ჯგუფი, ასევე მონიტორინგის განხორციელების პროცედურა და პერიოდულობა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა დამატებითი მომსახურეობა ხორციელდება ნებაყოფლობითდა ემსახურება მოსწავლეთა კეთილდღეობას. სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 4 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი #7 რომელშიც განხილულია ეკონომიკური შემოსავლებით მიღებული ფინანსები, იჯარით გასაცემი ფართები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და საალმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა

შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება, მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი.

ინდიკატორი შესაბიმისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფინანსური დოკუმენტაცია;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კლუბების დოკუმენტაცია;
- ტრანსპორტით სარგებლობის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანთლებლო პროგარამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანთლებლო პროგარამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანთლებლო პროგარამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ქ.თბილისის N 156 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენლი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-186.) გვეუბნება, რომ სკოლის პედაგოგები კურიკულუმის შემუშავებას იწყებს გასული სასწავლო წლის მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, კურიკულუმი იგეგემება ყველა კათედრის თითოეულ წევრის ჩართულობით. ეს ყოველივე კი ცხადყოფს, რომ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას, სრულად ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს,რაც გამოვლინდა გასული სასწავლო წლის მონაცემების ანალიზიდან. სკოლას შემუშავებული აქვს კათედრის მუშაობის დებულება (ბრძანება 2-402), რომელიც ნათელ სურათს წარმოაჩენს, თუ როგორ თანამშრომლობენ, როგორც კათედრის შიგნით, ისე სხვადასხვა კათედრის წარმომადგენლები ერთმანეთთან, რათა მოახდინონ სასწავლო პროცესში სასკოლო საზოგოადოების ინტერესთა და საჭიროებათა ასახვა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა საგნის ინტეგრირებული((ინგლისურის, ქართულის, ისტორიის საგნებს ინტეგრირება), თუ საგანსპეციფიკური პროექტები (დაავადება„კულტურული მრავალფეროვნება“, რომლებიც ეხმიანება სოციუმისა და თანამედროეობის გამოწვევებს.ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს ხელოვნებისა და ისტორიის მოყვარულთა კლუბი „მემატიანე“, რომელშიც გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ მსურველს მე7-მე12 კლასებიდან. როგორც მოწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა, სკოლა ხშირად ატარებს გამოკითხვას კონფიდენციალურობის დაცვით, რათა სკოლის თემის საჭორებების გამორკვევა და შესაბამისად სასკოლო კურიკულუმში მათი ასახვა. ასევე, სკოლას აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას აირჩიონ უცხოური ენები (მე-5 კლასში) და საშ. საფეხურზე კი არჩევითი საგნები,რაც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ითვალისწინებს სკოლა მოსწავლეთა ინტერესებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპი ქ.თბილისის N 156 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენლი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-186.) მკაფიოდ გვაჩვენებს, თუ როგორ არის გადანაწილებული სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ; მასწავლებლის, კათედრის ხელმძღვანელების, სასწავლო ნაწილისა და დირექციის ფუნქცია -მოვალეებში სასკოლო კურიკულუმის შემუშავება და განვითარებ.სკოლის facebook გვერდიდან და მოსწავლეებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრების-კურიკულუმის ფორმირებაში. კონკრეტულად, სამოქალაქო განათლების პროექტის ფარგლებში XIბ კლასის მოსწავლეეთა ორგანიზებით სკოლაში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“. მოსწავლეებმა ღონისძიება მაღალი მოტივაციითა და ენთუზიაზმით ჩაატარეს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათი ნაწილის მნიშვნელობას სკოლაში არაფორმალური განათლების განვითარების პროცესში. სკოლაში 2020 წლიდან ფუნქციონირებს პროექტ „განათლების გაძლიერების პროგრამა“-ორგანიზაცია “ კარიტასი“, რომელიც მიზნად ისახვას სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვაში მოსწავლეთა როლის გაზრდას. კონკრეტულად „თანატლოგანმანათლებლების” ფუნქციით მოსწავლეთა ჯგუფის მომზადებას, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სხვა ბავშვების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების პროცესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპი ქ.თბილისის N 156 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენლი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-186.) გვეუბნება, რომ სკოლა ახდენს სასწავლო პროგრამის ამსახველი კურიკულუმის გასაჯაროებას სასკოლო საზოგადოებასთან სკოლის საიტის მეშვეობით თუმცა, როგორც მოსწავლეებთა და მოსწავლეთა ინტერვიუებმა ცხადყო . ასევე, თთოეული საგნის პედაგოგი, მოსწავლეებში ავრცელებს კომპლექსური დავალების ბარათებს, სასწავლო წლიური პროგრამის ეტაპობრივად გაცნობის მიზნით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-186)
- პროექტ „კულტურული მრავალფეროვნების “-გეგმა;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა (საგან ქართული ენისა და ლიტერატურის,ინგლისური ენისა და ისტორიის ინტეგრირება);
- პროექტ „განათლების გაძლიერების პროგრამა“(ორგანიზაცია“ კარიტა“);
- კათედრის დებულება (ბრძანება N 2-402);

- კლუბი „მემატიანე-ს“ წესდება;
- პროექტი „დაავადება“;
- მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ინტერვიუები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** შემუშავებული კურიკულუმები **დაწყებით ,საბაზო და საშუალო საფეხურზე** წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. დაწყებით ,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოში ჩანს, რომ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო თემები და მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს , რომლის დროსაც ივითარებენ სასწავლო- შემოქმედებით უნარებს. საგნობრივ კურიკულუმებში და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ორიენტირება ხდება საფეხურის ფარგლებში საგნის გრძელვადიან მიზნებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურზე („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“ - დაწყებით საფეხურზე, „ისტორია“, „გეოგრაფია“, „მოქალაქეობა“, „საქართველოს ისტორია“ - საბაზო და საშუალო საფეხურზე) არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ შემოქმედებითი ხასიათის დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ძირითადად წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს საფეხურის გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები	კათედრის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის უცხოური ენის კურიკულუმები წ არმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკუ ლუმებში მეტწილად წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს ს აშუალებას მეტი მოტივაციითა და შემოქმედებითად მიუდგნენ შესრულების პროცესს. ასევე, მეტწილად წარ მოდგენილი დავალებები მრავალფეროვანია და ცხოვრებისეულ კონტექსტებს მორგებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმი საჭიროებს სამიზნე ცნებების გადახედვას,რათა მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტებთან განსაზღვრული მოთხოვნების ზუსტი ასახვა.
ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული კურიკულუმები, მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დაგეგმვის და განვითარების მოდელი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების აქტიურს ჩართვას შემოქმედებით, დამოუკიდებელ, ანალიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობაში. იგი ითვალისწინებს ინდივიდუალურ ინტერესებს, უნარებსა და განვითარების ინდივიდუალურ ტემპს, რაც საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს სრულად განვითარდეს. მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ თავისუფლება აირჩიონ სასწავლო მეთოდები და აქტივობები, რათა სწავლება მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეების საჭიროებებსა და ინტერესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმების ჩარჩოში შევსებულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხთა კლასტერი, შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებები, სასწავლო რესურსები, განსაზღვრული საათების რაოდენობა; ძირითადი კონტექსტ მაგალითების ნაცვლად „ ტექსტი/ტექსტები“ გრაფა იყო იყო ჩამატებული, რაზეც ინტერვიუს დროს მიეცათ რჩევის შემდეგ გასწორებულ იქნა. წარმოდგენილი საკითხებით/საკითხთა კლასტერით დაფარულია თემები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთამ რომ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა:** სასურველია, მე-11 კლასის კურიკულუმში დაემატოს საკითხები, სინუსების თეორემა, კოსინუსების თეორემა. ,,თემის“ სვეტში თემებთან ერთად, ფაქტობრივად, დუბლირებულია სვეტი ,,საკითხი, საკითხთამ კლასტერი“. სასურველია, პირველ სვეტში ჩაიწეროს მხოლოდ თემები. სასურველია, მე-7 და მე-9 კლასის კურიკულუმში რესურსები იყოს უფრო მრავალფეროვანი და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი. რიგ კურიკულუმებში, ზოგიერთი თემა, თემის სვეტში დაკონკრეტებულია საკითხებით, სასურველია, საკითხები გადაიტანონ საკითხები/ საკითხთა კლასტერის სვეტში
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები, აგრეთვე დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები, ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და მიმართულია მათი ფიზიკური განვითარების, ორგანიზების, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების ჩამოყალიბებისკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში ყველა კლასში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება. საბაზო და საშუალო საფეხურზე კურიკულუმის თემა ოლიმპიზმში, სასურველია არ მეორდებოდეს კლასში ერთი და იგივე საკითხები, შესაბამისად შეძლების და გვარად სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. მოსწავლე თავად ირჩევს დავალების შესრულების გზას ან ფორმას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებით საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაცია ზე დაყრდნობით, გაწერილია შესაბამისი საგნის (ბუნებისმეტყველება,ქართული,მათემატიკა,მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები,სამიზნე ცნებები და სასწავლო რესუ რსები.კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები- შემოქმედებითი დავა ლების იდეა/პირობის დასახელებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარ ე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მ ოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე **პირველი , მეორე ,მეხუთე და მეექვსე კლასის** კურიკულუმებში წარმოდგენილია სავალდებულო თემები, თითოეულ თემაში მუშავდება ყველა ცნება, თავისი ქვესაკითხებით,კონტექსტ მაგალითებით, შემოქმედებითი ტიპის დავალებებით.წლიური პროგრამის ამსახველი ჩარჩო გვაცნობს იმ ძირითადი რესურსებს რასაც გამოყენებს პედაგოგი გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** **1.**ძირითად სასწავლო რესურსთან ერთად სასურველია დამატებითი სასწავლო რესურსების გამოყენება.უმჯობესია კურიკულუმში იყოს საკითხთა და ქვესაკითხთა მრავალფეროვნება; ტექსტის ნაცვლად ეწეროს კონტექსტ მაგალითები; 2.**მესამე კლასის** კურიკულუმში შუალედური შედეგების შესამოწმებელი დავალების იდეაში ორ სიტყვიანი წინადადებების ნაცვლად ეწეროს სრულყოფილი წინადადებები. მაგალითად წერია-ცდის ჩატარება,სჯობს ეწეროს რა საკითხს ეხება ეს ცდა და რა უნდა შექმნას მოსწავლემ. **მესამე და მეოთხე კლასებში** სავალდებულო თემათა დასახელებები სწორია, თუმცა თითოეულ თემაში ყველა ცნება არ მუშავდება. **მესამე კლასში** თემაში ,,მზის სისტემა'' აკლია ცნებები: 1.ორგანიზმი,საარსებო გარემო და 2.გარემოს დაცვა. ასევე მეორე თემაში ,,ჩემი ქვეყნის ბუნება'' აკლია ცნებები: 1.ორგანიზმი ,საარსებო გარემო 2.გარემოს დაცვა 3 .მოვლენა.**მეოთხე კლასში** პირველ თემაში,, ციკლური პროცესები ბუნებაში" აკლია ცნებები- 1.სივრცეში ორიენტირება და 2.გარემოს დაცვა ,ხოლო მეორე თემაში ,,დედამიწა" აკლია ცნებები:1.სხეული,2.ორგანიზმი,საარსებო გარემო,3.გარემოს დაცვა. **მეექვსე კლასის** კურიკულუმის მესამე თემაში ,,ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა''აკლია ცნება სხეული, ვფიქრობ ეს უფრო ტექნიკური ხარვეზია, რადგანაც მოცემული კლასის კურიკულუმს ახლავს დანართი ,სადაც არის თემის,, ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა'' მატრიცა, სადაც ყველა ცნება მართებულად წერია. **საბაზო საფეხურზე ქიმია,ბიოლოგია და ფიზიკის** კურიკულუმებს ახლავს დანართების სახით დავალებების პირობა და შეფასების რუბრიკები. საბაზო საფეხურზე ბიოლოგიის საგნის ყველა კლასის კურიკულუმი, რომელიც სკოლამ თავდაპირველად გამოაგზავნა მართებულადაა გაწერილი სავალდებულო თემები, საკითხები ;საგნობრივი ცნებები თითოეულ თემაში მუშავდება, შემოქმედებითი დავა ლებების იდეები კავშირშია სასწავლო რესურსებთან (როგორც ძირითად ,ისე დამატებითი სახის).ქიმიის საგნის კურიკულუმებში თემათა დასახელებები და თითოეულ თემაში დასამუშავებელი

	ცნებები მართებულია,შუალედური შედეგების მისაღწევი დავალებების იდეები გაწერილია ყველა კლასში საბაზო საფეხურზე.ფ**იზიკის** საგნის სწავლების შემთხვევაშიც ანალოგიური მდგომარეობაა,მხოლოდ შეინიშნება რამდენიმე ნაკლოვანება. **რჩევა: 1.მეშვიდე კლასში თემის დასახელება მცდარია. წერია ,,თანაბარი მოძრაობა " და უნდა ეწეროს ,,თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა".ვფიქრობ უფრო ტექნიკური ხარვეზია.** **2.მეშვიდე კლასში თემაში ,,ნივთიერებების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები და თემაში ,,ძალა და წნევა" აკლია ცნება ენერგია.** **3.მერვე კლასის ფიზიკის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცნებათა დასახელებები მცდარია, მაგ:წერია ცნებები ,,ენერგია და ურთიერთგარდაქმნა და მეორე ცნება წერია მოძრაობა და ცვლილებები,რაც არ შეესაბამება საბაზო საფეხურის ფიზიკის ცნებებს.** **საფეხურის ფარგლებში ფიზიკის საგნის სწავლებისას ეს ცნება მუშავდება.** **რჩევა: გადაიხედოს ჩამოთვლილი დოკუმენტები და შესწორდეს დაშვებული ტექნიკური ხარვეზები.** **საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ქიმია ,ფიზიკა და ბიოლოგიის საგნების** თითოეულ სავალდებულო თემაში მუშავდება საგნის ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმებს ახლავს დანართების სახით დავალებები, საჭირო რესურსების ჩამონათვალით და შეფასების რუბრიკებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება ან არასწორად არის მითითებული, ან გამორჩენილია. რჩევა: სასურველია, კურიკულუმებში, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რომელი სამიზნე ცნება, კონკრეტულად რომელი საკითხით მუშავდება. ასევე, გადამოწმდეს ის მიდგომა, რომ ყველა სავალდებულო თემაში, ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ კურიკულუმებში გ აწერილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. საგნობრივი კ ურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთ ვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შე დეგების მიღწევას. ასევე, სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია სასკოლო პროექტი" კ ულტურული მრავალფეროვნება", რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მ იღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ემსახურება მოსწავლის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ინდივიდუალური განვითარების და სოციალური კომპეტენციის გაძლიერებას მრავალფეროვანი აქტივობების მუსიკალური და ვიზუალური ხელოვნების შექმნის ამოცანებით, ინტერპრეტაციებით, პრეზენტაციებით, გამოცდილებების გაზიარებითა და გუნდური პროექტებით. მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები მიზნად ისახავს ემოციური ინტელექტის, შემოქმედებითი უნარების, ვიზუალური აზროვნების, სმენითი აღქმის განვითარებას, ესთეტიკური გემოვნების და კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებას. ეს ყველაფერი, ეროვნულ საგანმანათლებლო ღირებულებებთან მკაფიო შესაბამისობაში. გარდა ამისა, წარმოდგენილია ინტეგრირებული მიდგომაც, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივ და ყოვლისმომცველ სწავლებას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია შემოქმედებითი ბუნების დავალებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. დავალების იდეის გრაფაში მითითებული იყოს მხოლოდ შემოქმედებითი დავალების იდეა, შეფასების რუბრიკის გარეშე.
მათემატიკა	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმებში იკვეთება კორელაცია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებთან და სამიზნე ცნებებთან. დაგეგმილი შემოქმედებითი ტიპის დავალების შინაარსი, მიზნობრივი აქტივობებისა და რესურსის შეთავაზება, რაც მოსწავლეებს უვითარებს და მოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა უნარებს. წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები იძლევა მოსწავლის დაფიქრებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. მე-11 კლასის კურიკულუმში თითქმის ყველა საკითხი წარმოდგენილი იყო კონტექსტ-მაგალითებით, მე-12, მე-5 და მე- 6 კლასების კურიკულუმში თითქმის ყველა თემისთვის არის წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოცემულ კურიკულუმებზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე, გეგმავენ, შეარჩიონ და განახორციელონ შემოქმედებითი დავალებები ესგ- ს შესაბამისად, რაც გამოიწვევს კურიკულუმებში მცირე ცვლილებას.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის განხორციელებაც რეალურად შესაძლებელი იქნება.
სპორტი	კურიკულუმის ჩარჩოში ნათლად არის ასახული სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებები. განხორციელების პროცესში განსაზღვრულია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლო ელექტრონული რესურსები. კომპლექსური ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. ყველა კლასის კურიკულუმში უპირატესობა ენიჭება შემოქმედებით დავალებებს. ეს ყველაფერი მთლიანობაში ხელს უწყობს ესგ–თი განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი შე მოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმებში ჩანდეს, რომელი სამიზნე ცნება, კონკრეტულად რომელი საკითხით მუშავდება. ასევე, ყველა სავალდებულო თემაში, ყველა სამიზნე ცნება მუშავდებოდეს.

1. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ძირითადი სასწავლო რესურსი და ელექტრონული სასწავლო რესურსები, რაც ემსახურება შემოქმედებითი დავალებების განხორციელებისათვის მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, მოტივაციის ამაღლებას .სკოლამ წარმოადგინა რესურსების ჩამონათვალი ფიზიკა, ქიმიასა და ბიოლოგიაში ,რაც მოსწავლეებს დაეხმარება სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების დაძლევაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო რუკები და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სევე, მასწავლებლებთა ინტერვიუდან ირკვევა, რომ ისინი გარდა ძირითიადი სასწავლო რესურსისა, აქტიურად იყენებენ დამატებით, ციფრულ რესურსებს, სხვადასხვა საკითხების ახსნისა თუ გამტკიცების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებშივე აისახოს დამატებითი რესურსები კონკრეტული ბმულის სახით.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლების ინტერესების, შემოქმედებითი აზროვნების და უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ასახავს ვიზუალურ, აუდიო და ციფრულ რესურსებს, როგორებიცაა: ნოტები, ჩანაწერები, წიგნები, ალბომები, ილუსტრაციები, ვიდეო მასალა, სხვა აუდიო-ვიზუალური შინაარსი, პრაქტიკული დავალებები და ონლაინ რესურსები. მასწავლებლები ფლობენ საჭირო ცოდნას თანამედროვე რესურსების ინტეგრირების და მათი პედაგოგიური გამოყენების მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

	რჩევა: სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რიგი კლასების კურ იკულუმებში, ასევე გათვლისწინებულია დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც ჩაშენებულია ლინკების სახით (ტელესკოლის გაკვეთილები, math.ge რესურსები, იუტუბის ვიდეო რესურსები). წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ რესურსების შერჩევისას თანამშრომლობენ და კათედრაზე ათანხმებენ იმ ელექტ რონულ თუ მატერიალურ რესურსებს, რომელიც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ჩევა: სასურველია, რიგ კლასებში კურიკულუმებში გაითვალისწინონ მეტი მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი: მაგ: geogebra, desmos. . . **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული თემების შესაბამისი სპორტულ ი ინვენტარი, სასწავლო ელექტრონული რესურსები და სახელმძღვანელოები საკმარისია მოსწავლეთა მიერ გა თვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია, სკოლის სპორტულ ინვენტარს დაემატოს ტანვარჯიშის ლეიბი, ამ თემის დაწყებითების კუ რიკულუმში ასახვისა და სათანადოდ განხორციელების მიზნით.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გაწერილია საჭირო საგანმანათლებლო და დამატებითი რესურსი. ასევე, გათვლილია ისეთი დავალებები, რომლის შესრულების დროს მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

	რჩევა: სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა

2. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში და ისგ გეგმებში** სასწავლო პროცესის ინკლუზიურობაზე მიუთითებს თითოეული კლასის მოსწავლეთა განვითარების დონის ,შესაძლებლობის და ინტერესების გათვალისწინება . კურიკულუმში მოცემული დავალებების, რესურსების და აქტივობების ჩამონათვალი მრავალფეროვანია . დიფერენცირებული მიდგომა სხვადასხვა რესურსის გამოყენებასა და შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში შექმნილი სხვადასხვა პროდუქტის ბუნებაში გამოიკვეთა. სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ნაშრომები, ადაპტირებული დავალებები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შერჩევისას, მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლ ო პროცესი არის მეტწილად ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კერძოდ, მასწა ვლებლებები ახდნენ საბოლოო პროდუქტის დიფერენცირებას, ასევე შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ მო სწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში უფრო მეტად იყოს ასახული დიფერნცირება.(კერძოდ, პროც ესის, მასალის, პროდუქტის).

ესთეტიკური აღზრდა	საგანმანათლებლო პროცესი ინკლუზიურობის პრინციპზეა დაფუძნებული და ითვალისწინებს დიფერენცირებულ პედაგოგიურ სტრატეგიებს, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა კონტინგენტის მიმართ. შეფასების მექანიზმები, სასწავლო აქტივობები და პედაგოგიური რესურსები მორგებულია ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და განსხვავებულ საჭიროებებს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გამოხატონ საკუთარი კომპეტენციები მრავალფეროვანი ექსპრესიული საშუალებებით - ვიზუალური ხელოვნებისა თუ მუსიკალური ინტერპრეტაციის გზით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს ჩაწერისას პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული დავალებები და შეფასების მრავალფეროვანი ფორმები. მოსწავლეებს აქვთ არჩევანის თავისუფლება შემოქმედებითი პროდუქტის ფორმის შერჩევისას. პედაგოგები ახორციელებენ მუდმივ მონიტორინგს და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	კათედრას გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრინციპები. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; ბიოლოგიასთან ინტეგრირებით წარმოადგინეს შემოქმედებითი ტიპის დავალება, სადაც მოსწავლეებმა შექმნეს მართკუთხედის ფორმის რეკრიაციული ზონის მაკეტები. როგორც აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილი იყო სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის; მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული სწავლების ფორმები და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული რესურსები. აგრეთვე სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები. ამასთან ერთად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები აქტიურად იყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებულ, მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებზე მორგებულ აქტივობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა თავისებურებები, განსხვავებული სწავლის სტილი. ასევე, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით მასწავლებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას იყენებს სხვადასხვა დიფერენცირებულ მიდგომებს, მაგალითად, აძლევს მათ არჩევანის საშუალებას დავალების შესასრულებლად, რაც აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე. გასაუბრებიდან და დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტებში ნათლად ჩანს, რომ პედაგოგები ახორციელებენ მრავალ აქტივობას სასწავლო წლის განმავლობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწ ინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვ ის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოს წავლეთა საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტის შესაქმნე ლად **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**შეფასების სისტემა დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე თითოეულ საგანში არის წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით,. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა დავალებებისთვის შექმნილი შეფასების რუბრიკები და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში პირველი სემესტრის მოსწავლის მიღწევის შეფასება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან მიმართებით. **დაწყბით საფეხურზე სკოლას ეძლევა რჩევა:** 1.დაწყებით საფეხურზე მესამე კლასის დავალება წარმოადგინა სკოლამ ,რომელსაც ახლავს შეფასების რუბრიკა ,მოსწავლეთა ნაშრომები; შეფასების კრიტერიუმები არ მიემართება ცნების მკვიდრ წარმოდგენებს შესასწავლი საკითხის ფარგლებში. 2. დაწყებით საფეხურზე მეხუთე და მეექვსე კლასებშიც აქვს სკოლას წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თუმცა მისი კრიტერიუმებიც არ მიემართება თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებს. რჩევა: დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართებოდეს შესასწავლი საგნის ცნებათა მკვიდრ წარმოდგენებს,ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები მიემართებოდეს შესასწავლი თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებს.

	საბაზო საფეხურზე ბიოლოგიის ,ფიზიკის და ქიმიის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არსებობს,თუმცა შეფასების კრიტერიუმებში არ წერია მიმართებები საგნის ცნებების მკვიდრი წარმოდგენებთან და შესასწავლ საკითხთან. ბიოლოგიაში **განმსაზღვრელი** შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები დეტალურად არ არის წარმოდგენილი ,რომელიც თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევისკენ იქნებოდა მიმართული .საბაზო საფეხურზე დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებში სკოლამ ფიზიკის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კარგი ნიმუში წარმოადგინა, სადაც ჩანს კრიტერიუმებში იკითხება მიმართებები ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან. რჩევები: 1.მეათე კლასის ქიმიის კურიკულუმს შესავალ ნაწილში ახლავს შეფასების ფორმები, სადაც წერია ,რომ საკლასო სივრცეში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, ვურჩევ რომ აუცილებლად დაამატონ საკლასო სივრცეში განმავითარებელი შეფასებაც. 2.**ისგ გეგმაში ბიოლოგიაში საბაზო საფეხურზე** მოსწავლის პირველი სემეტრის პროგრესის შეფასებას აკლია მოსწავლეთა სემესტრული დახასიათება :მეშვიდე კლასში ორი ცნების,მერვე კლასში ორი ცნების,მეცხრე კლასში ერთი ცნების და მეათე კლასში ორი ცნების მიხედვით. 3.**საბაზო საფეხურზე ფიზიკასა და ქიმიაში ისგ გეგმებში** პირველი სემესტრის მოსწავლის პროგრესის შეფასების აღწერილობა არ წერია ყველა ცნების მიმართებაში საკითხების შესწავლისას. 4.**ბიოლოგიის ,ფიზიკის და ქიმიის განმავითარებელი შეფასების** რუბრიკის კრიტერიუმები მიემართებოდეს საგნის ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. **6.ბიოლოგიის და ქიმიის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები** მიემართებოდეს თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებს. **საშუალო საფეხურზე** ბიოლოგიის და ქიმიის შეფასების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ნაწილობრივ მიემართება საგნის ცნებების მკვიდრი წარმოდგენებისკენ საკითხის შესწავლისას, ხოლო ფიზიკაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აგებულია ცნების მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ბიოლოგიის ,ფიზიკის და ქიმიის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები აგებულია თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით, რომელთაც აქვთ წილობრივი ქულები მინიჭებული და ადვილი ხდება მოსწავლეთა სანდო შეფასების წარმოებისა და ვალიდაციისათვის. **რჩევა:** 1.საშუალო საფეხურზე **ისგ გეგმებში ფიზიკასა და ქიმიაში** პირველი სემესტრის მოსწავლის პროგრესის შეფასების აღწერილობა უნდა დაიწეროს ყველა ცნებასთან მიმართებაში შესასწავლი საკითხის ფარგლებში. 2.**ბიოლოგიასა და ქიმიაში** საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები უნდა მიემართებოდეს საგნობრივი ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამივე საფეხურზე, სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამის ობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს, როგორც მასწავლებელს, დაინახოს მოსწავლის პროგრესი, ასევე, მოსწავლეს, რომ დაფიქრდეს თავის სწავლის- სწავლაზე. სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები. რაც შეეხება სადიაგნოსტიკო წერებს, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, ორი წლის წინ ქონდათ მცდელობა, მხოლოდ „სამოქალაქო განათლება“- ში, მაგრამ ამ ეტაპზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას არ აქვს ამის გამოცდილება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ათედრა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. უცხოური ენების კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები(ჰოლისიტური, ასევე ანალიტიკური)მაგ. თვითშეფასება, ესეს შეფასების, პრეზენტაციის, დისკუსიის, და სხვა) . **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შედგენისას ქულების გრადაცია თითოერულ კრიტერიუმზე იყოს 0-2 სკალის ფარგლებში.
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა ლოგიკურად არის დაკავშირებული სასწავლო მიღწევებთან და ემსახურება სახელმწიფო სასწავლო გეგმის სტრატეგიული მიზნების რეალიზებას. რჩევა: შეფასების პროცესი, თეორიული ინფორმაციის ათვისების ფიქსირებასთან ერთად, კიდევ უფრო მეტად ასახავდეს მოსწავლის შემოქმედებით შესაძლებლობებსა და მათ აქტიურ ჩართულობას. სასურველია, შეფასების მექანიზმში ორგანულად იყოს ჩაბმული სისტემატური უკუკავშირი, თვითრეფლექსია და თანაკლასელთა მიერ ურთიერთშეფასების კომპონენტები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.:ესეს შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). **რჩევა:** სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სასურველია შეფასების რუბრიკების შემუშავებისას პედაგოგებმა მეტად გამოიყენონ ესგ-ს მიხედვით სამიზნე ცნებები და საგნობრივი შედეგები, როგორც ორიენტირი.

	მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო მეტად დესკრიპტული, კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკის ნიმუშები. სამივე საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას რომელიც ესგ- ს თანახმად, ფარავს გრძელვადიან მიზნებს. ყველა საფეხურზე წარმოადგინეს თითო თემაზე გაწერილი განმს აზღვრელი შეფასების თითო ნიმუში, სადაც რუბრიკები გაწერილი იყო სამიზნე ცნებების შესაბამისად, ხოლ ო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სტანდარტის შედეგების მიღწევების ინდიკატორების შესაბამისა დ. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ხშირად იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუ მენტებს, აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს. ცდილობენ, უკეთ გაიზარონ, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, და მომავალში დანერგონ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილი შუალედურ მიზნებთან დართული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, პედაგოგები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერ კომენტარებს. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური თვისებების და ორგანიზებულობის, თვითკონტროლის განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებს დართული აქვს რუბრიკის მიხედვით გაკეთებული როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა-** სასურველია ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ფოტომასალა- სპორტ დარბაზი, სპორტული ინვენტარი;
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია;
- ი.ს.გ;
- მოსწავლის ნამუშევრები;
- პროექტის გეგმა უცხოურ ენებში(ინგლისური ენა);
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება;
- შემოქმედებითი პროექტები;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურზე** საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასწავლო პროცესი განხორციელდა კურიკულუმების შესაბამისად.მუშაობა მიმდინარეობდა სხვადასხვა შემოქმედებითი ბუნების დავალებებზე დაფუძნებით და საფეხურის ფარგლებში თითოეულ საგანში მიმდინარეობს საგნობრივი ცნებების დამუშავება სხვადასხვა საკითხების შესწავლისას მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების რაოდენობას. ზოგიერთ კლასში დაგეგმილი ჰქონდათ 7-8 კომპლექსური დავალება, რაც დროში ვერ მოესწრო და მოუწიათ მათი შემცირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების და განვ ითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკო ლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შ ესაბამისად. კურიკულუმები მოიცავს ეროვნული გეგმის მოთხოვნებზე მორგებულ თემატურ ერთეულებს, შუა

	ლედურ მიზნებსა და შემოქმედებითი ტიპის დავალებებს. როგორც მასწავლებელთა ინტერვიუდან ირკვევა, მ ასწავლებლები ეტაპობრივად პრაქტიკაში ახორციელებენ კურიკულუმში გაწერილ დავალებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სწავლების მიზნები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. გაკვეთილში გაწერილი მიზნები მკაფიოდ უკავშირდება შესაბამისი კურიკულუმის შედეგებს და გამოყენებულია მისი შესაბამისი ტერმინოლოგია. გაკვეთილის აქტივობები მიზანმიმართულად ემსახურება უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას და სწავლების პროცესში ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს (ინტეგრაცია, მრავალფეროვნება, კულტურული კონტექსტი და სხვ.). რჩევა: სასურველია, გაკვეთილის მიმდინარეობაზე დაკვირვება განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე მოსწავლეთა ჩართულობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანაგრიშიდან და სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმები მოიცავს ეროვნული გეგმის მოთხოვნებზე მორგებულ თემატურ ერთეულებს, შუალედურ მიზნებს, აქტივობებს და დიფერენცირებულ დავალებებს. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი ბუნების დავალებები, ინტეგრირებული თემები პრაქტიკაში ხორციელდება, რაც დასტურდება გაკვეთილის გეგმებით, შეფასების რუბრიკებით და მასწავლებელთა რეფლექსიით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დაასახელეს კონკრეტული მაგალითები, რომლებიც კურიკულუმთან შესაბამისობას ადასტურებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციებიდან: მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანგარიშიდან და კ ურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან და ინტერვიუდან გამომდინარე, დგინდება, რომ სასწავლო პ როცესი სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად:მუსიკალური ტალღის გრაფიკი ან ელექტრო სიგნალის ვიზუალიზაცია. მუსიკალური ტალღის გრაფიკი ან ელექტრო სიგნალის ვიზუალიზაცია. საათის ისრის მოძრაობის ან ვერტიკალური რკალის ტალღის მიმართულების განსაზღვრა, პანდუსის ან ლიფტის დახრის სიმაღლისა და სიგრძის მოდელი.სკოლის ოთახების ან სპორტული მოედნების 3D მოდელის შექმნა), რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. სწავლა-სწავლების პროცესში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სპორტი	სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ თემებში გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და საკითხებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დგინდება,რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: ს აგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარ ტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად; **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლაში დაწყებით საფეხურზე სისტემურად და მიზნობრივად მიმდინარეობს მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება, რაც ხორციელდება სასწავლო პროცესზე პერიოდული დაკვირვებისა და კვლევის საფუძველზე. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად, სასწავლო პროცესი და კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები ადაპტირდება მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, სასწავლო დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა ფუნქციურ და კომპლექსურ უნარებზე, ითვალისწინებს აქტიური სწავლების პრინციპებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას საკუთარი სწავლის პროცესის მართვაში. დავალებები შერჩეულია მოსწავლეთათვის ნაცნობი და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული კონტექსტიდან, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებისა და პიროვნული განვითარების გაძლიერებას. გაკვეთილების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები, მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობები, მათ შორის ინტეგრირებული გაკვეთილები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სწავლების ეფექტიანობას. თემატური ბლოკების დასრულებისას მოსწავლეები ახორციელებენ საკუთარი სწავლის პროცესის ანალიზს, რეფლექსიასა და თვითშეფასებას, რაც ეხმარებათ მიღწევების გააზრებასა და შემდგომი განვითარების დაგეგმვაში. სკოლის მიერ შექმნილი პოზიტიური ფსიქო-სოციალური გარემო უზრუნველყოფს უსაფრთხო და მხარდამჭერ სივრცეს, სადაც მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ აზრს, არ აქვთ შეცდომის დაშვების შიში და შეუძლიათ საკუთარი გამოცდილების გაანალიზება. აღნიშნული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სკოლა ეფექტიანად და მოქნილად რეაგირებს მოსწავლეთა შემხვედრ საჭიროებებზე, უზრუნველყოფს ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებას და უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებით ,საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** შეფასება ნაწილობრივ **ვალიდურია,** რადგანაც შეფასების რუბრიკას ახლავს, თუ რომელ სასწავლო შედეგებს მიემართება შეფასება; **გამჭვირვალეა** ,რადგანაც ინფორმირებულია ყველა მოსწავლე**; სანდოა, სამართლიანია და ობიექტურია**,რადგანაც ერთანირი შესრულებისას ნებისმიერი შემმოწმებლის შეფასებისას ერთანაირი იქნება შედეგი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ და რისი ცოდნა მოეთხოვებათ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად გაწერილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის განხილვის საფუძველზე დგინდება, რომ სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე გამოყენებულია შეფასების პირველი მოდელი, რომელიც მოსწავლეთა კომპლექსურ, მრავალკომპონენტიან შეფასებას ითვალისწინებს. ამასთან, სკოლაში არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი შეფასების სისტემის მახასიათებლები. ინტერვიუების შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობები ფასდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა ხასიათდება სანდოობითა და გამჭვირვალობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა შეესაბამება სასწავლო გეგმის მიზნებს და იმ შედეგებს, რომლებიც ამ მიზნებიდან გამომდინარეობს. გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ტიპი (მაგ., ზეპირი, პრაქტიკული, რეფლექსიური და შემოქმედებითი). წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აჩენს საფუძველს ეჭვისთვის შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის საკითხებში.

	რჩევა: სასურველია, პედაგოგებმა მოსწავლეებს წინასწარ და დეტალურად გააცნონ შეფასების კრიტერიუმები და შემდგომ ჩართონ ისინი ურთიერთშეფასების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად სამივე საფეხურზე შერჩეულია შეფასების პირველი მოდელი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქიდან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე. სასწავლო პროცესში სკოლა ზრუნავს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, ამას მოწმობს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურების მიხედვით, კონკრეტულ თემებზე გ აწერილი. □კოლამ ასევე წარმოადგინა ვერიფიკაციის დოკუმენტი. გასაუბრებისას, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა იციან, როგორ შეფასდება მათი შრომა, ზუსტად აქვთ გააზრებული, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. ეს ყოველივე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რა კრიტერიუმებითა და რომელ კომპონენტებზე (გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, შედეგები) დაყრდნობით ფასდებიან მოსწავლეები. შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესზე სისტემური დაკვირვებისა და სხვადასხვა ეტაპზე შესრულებული აქტივობების საფუძველზე. მოსწავლეებს წინასწარ ეცნობება ფესტივალებზე მათი შედეგების შეფასების კრიტერიუმებიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტევიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ძალისხმევა, პასუხისმგებლობა, ჩართულობა და საკუთარი ნააზრევის გადმოცემის უნარი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შ ესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამ ომდინარე დგინდება ,რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭვირვალე,სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას წარმოდგენილი აქვს ბრძანება N 2-274 დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი,რომელიც დეტალურად აღწერს პროექტს, რის მიხედვითაც სკოლა ახდენს/მოახდენს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას სწავლის დაწყებიდან მაქსიმუმ 6 თვეში ერთხელ წინასწარ განსაზღვრული/დამტკიცებული ჯგუფის მეშვეობით, ხოლო ვერიფიკაციის პროცესი კი მოიცავს შედეგ ეტაპებს :

- ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნა;
- სამუშაო გეგმის შექმნა;
- რისკების განსაზღვრა;
- ვერიფიკაციის განხორციელება;
- შედეგების ანალიზი;
- უკუკავშირი/დაგეგმვა.

ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ შეფასების ვერიფიაკციის მიზნით კათედრის შიგნით მასწავლებლები ეცნობიან ერთმანეთის მიერ შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადოდ არის აღრიცხული და ინახება როგორც მოსწავლეთა პირად საქმეებში, ასევე ელექტრონულ ჟურნალში.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ **ბრძანება N 2-274 დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი,**
- სასკოლო სასწავლო გეგმა

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შეფასების რუბრიკები
- კათედრების ოქმები
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმებში განსაზღვრულია ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსები,რაც ემსახურება სასწავლო თემების შესწავლას.სკოლას აქვს შესაბამისი გრიფირებული სახელმძღვანელოები, ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსების გამოყენებისათვის ტექნიკური საშუალებები. ამ ეტაპისთვის მასწავლებლები ძირითადად საკუთარი მარტივი რესურსებით და მოსწავლეებისთვის საშინაო დავალებების სახით ან ტელეფონების გამოყენებით გეგმავენ სხვადასხვა ტიპის კვლევით დავალებებს .დამატებითი რესურსესის სახით იყენებენ youtube; ck12.edu.ge,phet.colorado.com ,teleskola; school.emis.ge **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსი, ვიდეო რესურსი, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რუკები, პოსტერები, პლაკატები, რაც დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებით. აღჭურვილობა.საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სას წავლო პროცესში. როგორც მასწავლებელთა ინტერვიუდან ირკვევა, პედაგოგები აქტიურად იყენებენ ციფრულ რესურსებსაც მასალების გამრავალფეროვნებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით განსაზღვრული მთავარი და დამატებითი სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სწავლების პროცესში. მეთოდური საგანმანათლებლო ლიტერატურა, თანამედროვე ციფრული მასალები, აუდიო-ვიდეო რესურსები, ხელოვნების ნიმუშების შესაქმნელად საჭირო მასალები და შესაბამისი ინვენტარი მოსწავლეებს ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში. სასწავლო სივრცე გათვალისწინებულია პრაქტიკული აქტივობებისთვის; მოსწავლეთა ნამუშევრები ინახება და ხდება შემოქმედებითი პროცესის ხელშემწყობ დამატებით რესურსად. რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიძინოს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი, რათა შემოქმედებითი პროცესი კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მდიდარი გახდეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** ყველა საფეხურის კურიკულუმში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ.
მათემატიკა	საგნობრივი კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი და ელექტრონული რესურსების ბმულები, რომლიც გამოყენებასაც გეგმავს მასწავლებელი. სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლაში არსებულ და კურიკულუმით ასახულ თემებში გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს და სპორტულ ინვენტარს შესაბამისი გამოყენება აქვს სასწავლო პროცესში.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები: school.emis.ge; code.org, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამები, ვიდეორგოლები და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ იყენებენ სხვადასხვა რესურსებს. რჩევა - სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭი რო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურზე** სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. კერძოდ, როგორც პედაგოგთა ინტერვი უდან ირკვევა, უცხოური ენების კათედრაზე ხდება პერიოდულად კლასის საჭიროებისამებრ სხვადასხვა დამ ხარე რესურსების შერჩევა მიზნობრივად, თემატურად სასწავლო მასალების გამრავალფეროვნების მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია, დამხარე სასწავლო რესურსების მარტივი და მოქნილი გაზირების სისტემის შესაქმენლად, კათედრას ჰქონდეს დრაივის სახით ერთი დოკუმენტი, სადაც მოხდება მასალების ატვირთვა და ხელმისაწვდო მობა ექნება კათედრის წევრებს.

ესთეტიკური აღზრდა	არსებული დამხმარე სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია საგნობრივ სასწავლო გეგმებთან. რესურსების შერჩევის პროცესში მონაწილეობენ საგნის პედაგოგები. რესურსების გამოყენებამდე ისინი განიხილება და შეთანხმდება სკოლის ადმინისტრაციასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. დამხმარე სასწავლო რესურსების მიმოხილვა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი დამხმარე რესურსების შესარჩევად, და შესაფასებლად, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მოსწავლეებისა და საგნობრივი სასწავლო გეგმის საჭიროებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, ამ საკითხების განხილვა პერმანენტულად ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სამივე საფეხურზე, შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ის შეთანხმებულია კათედრაზე, რაც დასტურდება კათედრის N1 ოქმით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლაში არსებული და გამოყენებული რესურსების, მათ შორის სპორტული ინვენტარის, შეფასება და ვალიდაცია ხორციელდება შესაბამის კათედრასთან თანამშრომლობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, მასწავლებლებიც გვიდასტურებს, რომ კათედრაზე ხდება დამხმარე რესურსის შერჩევა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხის განხი ლვა ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სა სწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურზე** სკოლას აქვს მატერიალური რესურსები- გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები ,რაც

	დასჭირდება კურიკულუმის განხორციელებას.ასევე ტექნიკური საშუალებები-კომპიუტერები და პროექტორი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა აქტივოები. კერძოდ- ინდიკატორი 2.2.2.3, სკოლამ განახლებული შესაბამისობის გეგმით (04.2026-04.2027) წარმოადგინა მიმართვა საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან (MES 3 26 0000022286) და სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (04.2026–04.2027), სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა და მისი აღჭურვა სათანადო ინვენტარით, ხელსაწყოებითა და რესურსებით, როგორც საბაზო ასევე საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის. **ინდიკატორი 2.2.2.3 მეტწილ შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს მოსწავლეთა რაოდენობის და ასაკის შესაბამისი ფართი, კომპიუტერები, ლეპტოპები. ეს მატერიალური რესურსი რომელიც სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებშია განთავსებული გამოყენება საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სამივე საფეხურზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე დამხმარე სახელმძღვანელოებს. ასევე სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება გეოგრაფიული და ისტორიული რუკები. საკლასო ოთახებში, სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად და სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	თვითშეფასების კითხვარისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლების პროცესის ეფექტურად განხორციელება და კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგებ ის მიღწევა უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალურ- ტექნიკური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობასთან შესაბამისობაში მყოფი სასწავლო ინფრასტრუქტუ რით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	გაკვეთილის მიმდინარეობისას ყველა მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იმუშაოს შესაბამის რესურსებზე. მოსწავლეთა რაოდენობა არ ზღუდავს სწავლების ორგანიზებას და პროცესის გამართულად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. (პრეზენტაციისთვის, საკლუბო მუშაობისას). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლაში არსებული სპორტდარბაზი, სპორტული ინვენტარი და ტექნიკური რესურსები (კომპიუტერები) საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სასურველია სკოლამ მომავალში უზრუნველყოს გარე სპორტული მოედნის მოწყობა, რაც არსებული სპორტდარბაზის დატვირთულობის პირობებში, გარე სივრცის დამატება ხელს შეუწყობს ყველა კლასის კურიკულუმში გაწერილი თემების სათანადოდ შესწავლას და მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სპორტულ აქტივობებში.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კომპიუტერულ ლაბორატორიაში. (კომპიუტერები, პროექტორი, ინტერნეტი). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქ ტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტი ანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შე საბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. რჩევა: სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებ საც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო), **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი და ყველა პედაგოგი არის მიმდინარე სქემის ფარგლებში სტატუს მოპოვებული (სკოლაში დასაქმებულია, როგორც 33 უფროსი, ასევე 22 წამყვანი და 4 მენტორი პედაგოგი.),

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- დანართი #10 -წერილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაზე
- დანართი#11 -მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- დანართი#21--ბრძანება #2-186-კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცება;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია.;
- კათედრის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ ქ.თბილისის N 156 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენლი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-186.) გვეუბნება, რომ სკოლა ახდენს/მოახდენს კურიკულუმის მონიტორინგს, იმისთვის, რომ გასცეს პასუხი კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად, იძლევა თუ არა განხორციელბული აქტივობები სასურველ შედეგს; მასწავლებელთა ინტერვიუდან შევიტყვეთ, რომ სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი ხორციელდება ჭადრაკის პრინციპით, ყოველ წელს სამ-სამ საგანში დიაგნოსტიკური წერების საშუალებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია გვეუბნება, სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ახდენს კურიკულუმის მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზებას და მიგნებების საფუძველზე ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში პრობლემების გადაჭრის გზების ასახვას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

როგორც სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუდან და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ვიგებთ, სასკოლო წლიური კურიკულუმის მონიტორინგი ეხმარებათ მასწავლებლებს მომდევნო სასწავლო წლის პროგრამაში ასახონ იმგვარი აქტივობები, რომლებიც მოერგება თითოეული მოსწავლის საჭიროებას და მიზნობრივად იმუშავებს სწავლა- სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-186)
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია.;
- კათედრების ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა .

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლაში შეფასებისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება მიმდინარე პროცესი დაგეგმილს და რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული აქტივობები სასურველი შედეგების მიღწევას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა მეთოდს და აქტიურად ერთვებიან პროცესის ანალიზში. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრის სხდომებზე სისტემურად განიხილება სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებული საკითხები,

მათ შორის – პროცესის შესაბამისობა დაგეგმილთან, დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობა და მოსწავლეთა მიერ დავალებების შესრულების ხარისხი. ასევე მიმდინარეობს მსჯელობა იმაზე, თუ რა გზებით შეიძლება მოხდეს არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და რა მექანიზმებით არის შესაძლებელი მათი ეფექტიანი გადაჭრა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში შეფასების პროცესი ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოიცავს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სკოლის მრავალფეროვან სოციალურ გარემოს, შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა სოციო-კულტურული თავისებურებები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც უზრუნველყოფს სამართლიან და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მიდგომას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებისკოლაში შეფასების პროცესი ეფუძნება მონიტორინგის შედეგად სისტემურად შეგროვებულ მონაცემებსა და ანალიტიკურ ინფორმაციას, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას მტკიცებულებებზე დაყრდნობით. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყენება როგორც მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგები, ასევე მასწავლებელთა მიერ კათედრებზე წარმოდგენილი ანგარიშები, სადაც აისახება სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობა, გამოყენებული მიდგომების ეფექტიანობა და გამოვლენილი გამოწვევები.

მონაცემთა ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს, რამდენად შეესაბამება სასწავლო პროცესი დაგეგმილ მიზნებს, რა შედეგებს იძლევა განხორციელებული აქტივობები და რა მიმართულებით არის საჭირო გაუმჯობესება. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სწავლების ხარისხის უწყვეტ მონიტორინგსა და განვითარების პროცესის ეფექტიან მართვას.

ამასთან, სკოლა გეგმავს სასწავლო წლის ბოლოს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის კიდევ უფრო გაღრმავებას. აღნიშნული კვლევები მიზნად ისახავს სასწავლო შედეგების,

პროცესების ეფექტიანობისა და არსებული გამოწვევების სიღრმისეულ ანალიზს, რაც, თავის მხრივ, გახდება საფუძველი შემდგომი სტრატეგიული გადაწყვეტილებებისა და გაუმჯობესების ქმედებების დაგეგმვისთვის.

აღნიშნული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება სისტემურად, მრავალმხრივი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით,

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს, მათ შორის: დროსა და სივრცეს, სასკოლო საზოგადოების პოტენციალს და სხვა ცვლადებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ საბოლოო შედეგზე. სკოლა ინდივიდუალურ ჭრილში განიხილავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, სოციალური ფონი და ოჯახური კონტექსტი. ასევე, საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვისა და შეფასების ეტაპზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია ენობრივი ბარიერისა და სხვა სპეციფიკური გამოწვევების გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფს სწავლების მეთოდოლოგიის მაქსიმალურ მოქნილობასა და ინკლუზიურობას. აღნიშნული მრავალმხრივი მიდგომა საშუალებას აძლევს სკოლას, შეიმუშაოს განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის ინტერესებს და მიმართულია სასწავლო პროცესში თითოეული სუბიექტის პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ გამოყენებული შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს ყველა რელევანტურ ფაქტორს და უზრუნველყოფს გარემო

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თითოეული საგნის წლიური პროგრამის ამსახველი ჩარჩო/კურიკულუმის ჩარჩო;
- ი.ს.გ.
- შეფასების რუბრიკები სხვადსხვა საგნის;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები;

- სადიაგნოსტიკო წერების ნიმუშები;
- შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების ბარათები და მოსწავლეთა ნამუშევრები;
- სსსმ მოსწავლეთა ნამუშევრები;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია გვეუბნება, სკოლა გასული სასწავლო პროცესის მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით ახდენს მომდევნო/ახალი სასწავლო წლის პროგრამის შექმნას. ასევე, სკოლაში ყოველ წლიურად სამ საგანში (მონაცვლეობით) ეწყობა სადიაგნოსტიკო წერები, რომელთა მონაცემების გაანალიზების შემდეგ, საგნის პედაგოგები ახდენენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში ცვლილებების განხორციელებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

როგორც პედაგოგთა ინტერვიუებმა ცხადყო; მასწავლებლები სისტემატიურად ახდენენ ჩანიშვნების გაკეთებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ინიშნავენ, თუ რა გამოწვევევები ახლავს მათ მიერ დაგგემილ სასწავლო პროგრამას მუშაობის პროცესში. მიღებულ მონაცემებს კათედრა ერთობლივად განიხილავს და შემდეგ კი მომდევნო სასწავლო წლის პროგრამაში ასახავენ ცვლილებებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თითოეული საგნის წლიური პროგრამის ამსახველი ჩარჩო/კურიკულუმის ჩარჩო;
- ი.ს.გ.
- შეფასების რუბრიკები სხვადსხვა საგნის;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები;
- სადიაგნოსტიკო წერების ნიმუ/სები;
- შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების ბარათები და მოსწავლეთა ნამუშევრები;
- სსსმ მოსწავლეთა ნამუშევრები;
- პროექტები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-186);
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 5.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: